# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 31 აგვისტო 2006 №200 (2822) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა





# დითირამბები და პრეზიდენტის სახის ცვლილება: სააკაშვილმა ახალკაცს ჟორდანია გაახსენა





„გადაეცით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომ კარგად ახსოვდეს, რაც დაემართა მის წინამორბედს. ჩვენ კარგად ვიცით უეფას კანონები და არც ვაპირებთ ფედერაციის საქმიანობაში ჩარევას, მაგრამ ჩვენი მოქალაქეების დაჩაგვრას არავის ვაპატიებთ. ვიმეორებ, ვიცით საერთაშორისო კანონები, მაგრამ თუ ეს განმეორდება, ფედერაციის პრეზიდენტს პრობლემები შეექმნება. გადაეცით ახალკაცს, თავს ბოლომდე ნუ მოიჭრის" — ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ განახლებულ ეროვნულ სტადიონზე თქვა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რამ გააბრაზა საქართველოს პრეზიდენტი. საქართველო — საფრანგეთის მატჩის ბილეთებთან დაკავშირებით ნამდვილი დომხალია. გაუთავებლად რიგში მდგომი ხალხის ლამის ლამის თევისა და „დღეს იქნება, ხვალ იქნებამ" პრეზიდენტის ყურამდეც მიაღწია...

პრეზიდენტის გუშინდელი განცხადების გამო ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერს და პარლამენტში სპორტის ლობისტს ვალერი გიორგობიანს დავუკავშირდით...

— ჯერ კიდევ შარშან ვამბობდი, რომ ნოდარ ახალკაცი ხეირს ვერ მოგვიტანდა, მაგრამ მაშინ მას სრული ნდობა გამოუცხადეს და აგერ, შედეგიც... გახსოვთ, რას გადაყვა მერაბ ჟორდანია? კაცი ოცლარიან ბილეთებს შეეწირა... და რა ხდება ახლა? გაცილებით უარესი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნოდარ ახალკაცი შეხვდა კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს, იქიდან გამოსულმა ხალხს ბოდიში მოუხადა და მერე იგივე განმეორდა. ეს ხომ დაცინვაა! რა დააშავა უბრალო ხალხმა, ვისაც ფეხბურთი უყვარს და ღამეებს ათენებს ბილეთების რიგში. ან უფრო მეტი იაფი ბილეთი დაებეჭდათ და უფრო ნაკლები ძვირი, ან თქვი, რომ პრობლემებია და მატჩამდე ორი დღით ადრე ორგანიზებულად მაინც გააკეთე ყველაფერი.

— პრეზიდენტმა ახალკაცს, ფაქტობრივად, თითი დაუქნია...

— მოვისმინე პრეზიდენტის სიტყვები და სრულიად ვეთანხმები. უკვე მეტისმეტია...

— ანუ?

— პრეზიდენტი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის, რადგან თქვა, ესე იგი, ამის საფუძველიც იყო. ჩემი აზრით, რასაც მერაბ ჟორდანია გადაყვა, ის სხვას არ უნდა ეპატიოს.

— ვიგულისხმოთ, რომ ნოდარ ახალკაცის საპრეზიდენტო პოზიციები შეირყა?

— ამას მომავალი გვიჩვენებს, მე ვთქვი, რომ ერთის შეცდომა მეორემ არ უნდა გაიმეოროს.

— ანუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ნოდარ ახალკაცს მთავრობის მხარდაჭერა აღარ ექნება?

— გამორიცხული არაფერია...

P.S. მიხეილ სააკაშვილის განცხადების შემდეგ სამთავრობო კულუარებში ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის დავით კირკიტაძის ქართული ფეხბურთის პირველკაცობაზე უფრო აქტიურად ალაპარაკდნენ...

**ბაჩო სვანიძე**


2 სექტემბერს

VEGA SLOT გთავაზობთ სიურპრიზს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წლობით ნული დახსნილია ეროვნული გახსნილია!

## დახურვა გახსნამდე

გაახლებულ-გაკოხტავებული ეროვნული სტადიონის ახალ მოედანზე გუშინ პირველად საქართველოს ნაკრებმა ივარჯიშა. სამწუხაროა, ამ ამბავს ჟურნალისტები არ დაგვასწრეს, მოგვიანებით სტადიონი ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უნდა მოენახულებინა და ოფიციალურად გაეხსნა და უსაფრთხოების მიზნით მოედანზე ჩვენთვის ყველა კარი ჩაკეტილი იყო.

ეროვნული გუნდის ავტობუსი კი „ეროვნულს“ 5 საათისთვის მოადგა და რვა იყო დაწყებული, როცა იქაურობა დატოვა. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსის სანდრო ცნობილაძის თქმით, საფრანგეთთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი უკვე თბილისშია და კლაუს ტოპმიოლერმაც გუნდი სრული შემადგენლობით ავარჯიშა. რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა კი აქვს, მაგრამ სანერვიულო არაფერია, 2 სექტემბერს ერთადერთი ლაშა ჯაკობიას თამაშია სათუო, თორემ დანარჩენები საფრანგეთისთვის მზად იქნებიან.

გუშინდელი თითქმის ორსაათიანი ვარჯიშისას კლაუს ტოპმიოლერს აქცენტი სტანდარტულ მდგომარეობაზე გაუკეთებია, ფეხბურთელებს კუთხურ-საჯარიმოების ეფექტურად გამოყენების რამდენიმე ხერხი დაუმუშავებიათ. დანარჩენი სანაკრებო სიახლეები კი სახვალიოდ იყოს — დღეს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი საფრანგეთთან მატჩისწინა პრესკონფერენციას გამართავს და სათქმელსაც იქ იტყვის.

## პრეზიდენტმა ემოციები გადაანაწილა

პრეზიდენტი „ეროვნულზე“ შვიდი საათისთვის უნდა მოსულიყო, თუმც ათისთვის ესტუმრა. ქვეყნის უპირველესი სარბიელი სალამოსაც, გაჩირაღდნებულიც ძალიან ლამაზია და ალბათ ამიტომაც, პრეზიდენტს სტადიონი მთელი თავისი ეშხით დაახვედრეს.

მიხეილ სააკაშვილს თბილისის მერი გიგი უგულავა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავკაცი გოჩა ძასოხოვი დახვდნენ. პრეზიდენტი ჯერ ფოიეში შეყოვნდა, მერე გასახდელები და დამხმარე სათავსოები დაათვალიერა, რითაც აშკარად კმაყოფილი დარჩა და ვიდრე სტადიონის ტრიბუნაზე შეკრებილ ხალხს მიესალმებოდა და „ეროვნულს“ გახსნილად გამოაცხადებდა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის მისამართით ერთობ მწვავე განცხადება გააკეთა...

## გაიხსნა!

მოედანზე მიხეილ სააკაშვილის გასვლა, ტრიბუნის ყიჟინი და „დინამო, დინამოს“ გუგუნი ერთი იყო. ახალდამონტაჟებულ „სამსუნგის“ ტელე-ტაბლოზე დაუვიწყარი კადრები გამოჩნდა. სიტყვამ მოიტანა და, „ეროვნულზე“ ახალი ტაბლოა, თვალი უკეთესს ვერ ნახავს. მერე პრეზიდენტი ვეტერან დინამოელებს მიესალმა, გულში ჩაიკრა „ეროვნულის“ არქიტექტორი, ვერტმფრენიდან კი ასობით ბურთი ჩამოყარეს, რომლებიც ბიჭუნებმა და თავად პრეზიდენტმაც ტრიბუნებს გაუგზავნეს.

— ვამაყობ და ცოტა დაბნეულიც ვარ, საქართველოს რომ ასეთი ჩინებული სტადიონი შეემატა. ამ სტადიონს ბევრი, ძალიან ბევრი ჩვენი გამარჯვება ახსოვს, მაგრამ წინ კიდევ ბევრი გველის. აქ ჩვენს ბევრ მეტოქეს დაუყრია ფარ-ხმალი და მომავალშიც ასე იქნება. წინ კი მთავარი გამარჯვება გველის — საქართველოს გაერთიანება. ნება მიბოძეთ, ქართული ფეხბურთის ამ ლეგენდებთან, სტადიონის არქიტექტორთან და თქვენთან ერთად ეს ბრწყინვალე სტადიონი გახსნილად გამოვაცხადო. „ეროვნული“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო უნდა გახდეს — თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

## უეფამ დადებითი პასუხი დადო

ეს ჩვენი „ეროვნული“ კი მართლაც რომ ძალიან კარგი გამოვიდა, რაც უეფას სტადიონების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ტიერი ფავრმაც აღნიშნა. სტადიონის გახსნას ის თავადაც ესწრებოდა და ორი სიტყვა ჩვენც გვითხრა...

— ეროვნული სტადიონის გუშინდელი ინსპექტირების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დღეს უკვე უეფასგან მიიღო ოფიციალური დასკვნა — სტადიონი უეფას ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და უპრობლემოდ შეუძლია საფრანგეთთან მატჩის მასპინძლობა. სტადიონის დათვალიერებისა და მოგვიანებით გამართული თათბირის შემდეგ ჩვენ, უეფას წარმომადგენლები, ძალიან კმაყოფილები ვართ!

— რა არის ისეთი, რისი გაკეთებაც „ეროვნულზე“ აუცილებელი არა, მაგრამ კარგი იქნებოდა?

— ძალიან კარგი იქნება, სექტორების შესასვლელებში ავტომატურ გამშვებებს თუ დაამონტაჟებენ. ეს უეფას მოთხოვნა არ არის, თუმცა ქომაგებისთვის არის კარგი და უსაფრთხოებაც უფრო დაცული იქნება. უეფამ კარგად იცოდა, რომ ამ სტადიონის რეკონსტრუქცია მაისში დაიწყო. მესმის, რომ ამ მოკლე დროში ავტომატური გამშვებების დამონტაჟება ვერ მოესწრო, თუმცა, რაც ვნახეთ, ესეც შთამბეჭდავია.

— მოკლედ, უეფას შეფასება დადებითია...

— დიახ, დადებითია და ჩვენ ნანახით კმაყოფილები ვართ. თუმც ისიც უნდა გითხრათ, რომ უეფამ მხოლოდ სტადიონის ინფრასტრუქტურა შეამოწმა, დანარჩენი კი 2 სექტემბერს გამოჩნდება — ამ სტადიონზე პირველი დიდი მატჩი გაიმართება. რამდენიმე დღის წინ ლონდონის „არსენალის“ ახალი სტადიონიც გაიხსნა. ძალიან ძნელია პირველი მატჩის მასპინძლობა. მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

**ქოგა ინასარიძე**



მიხეილ სააკაშვილი და გოჩა ძასოხოვი





დავით პეტრიაშვილი და ტიერი ფავრი

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუი საა



ტიერი ანრი სათბილისოდ ემზადება

AFP

# ყველამ თავისი ამოავსოს
## სხვა ზინედინი საა არის?

„ლურჯები“ ემზადებიან — საინტერესო რა არის იცით? 6 სექტემბერს ხომ იტალიასთან ელით თამაში, მაგრამ ფიქრები ჯერ თბილისისკენ აქვთ, ყველა ფრაგნულ სპორტულ ვებგვერდზე იგრძნობა, რომ რაიმონ დომენეკი და მისი ამალა სასეირნოდ არ მოდის საქართველოში.

„საქართველოს ნაკრებზე არაფერი ვიცი, ეს გუნდი დიდ ტურნირზე არასოდეს ყოფილა, თუმცა მთავარია, დღეს რა ძალას წარმოადგენენ, მათ 6:0 მოიგეს ფარერის კუნძულებთან, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ“ — ამბობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი ლუი საა, რომელიც ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ თბილისში 99 პროცენტით 11 კაცში იქნება.

„ზიდანის წასვლის შემდეგ რაიმონ დომენეკს სხვა არაფერი დარჩენია, რათა 4-2-3-1 სქემა 4-4-2-ად გადააწყოს. ჟულიენ ფაბერი ახალგაზრდაა და მისი ოფიციალურ მატჩებში თამაში სარისკოა, საქართველოსთან და იტალიასთან გამოძახებულ ფეხბურთელებში კი სხვა გამთამაშებელი არ ფიგურირებს“ — წერს პოპულარული „ეკიპი“.

ისევ საას მივუბრუნდეთ, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია და „მანჩესტერში“ გოლი გოლზე გააქვს. ამჟამად ის ანრიზე კარგად გამოიყურებაო, წერენ ფრანგები. „ანრი-საა — ასეთი იქნება „ლურჯების“ თავდასხმის წყვილი მოახლოებულ ორ შეხვედრაში“ — ეს ისევ „ეკიპიდან“.

თავდამსხმელები გასაგებია, ნახევარდაცვის საყრდენებიც, ალბათ, ისევ პატრიკ ვიეირა და კლოდ მაკელელე იქნებიან, ფლანგებზე კი ფრანგებს რომ რეაქტიული მოთამაშეები ჰყავთ, ნუ იტყვით — დომენეკს მარჯვნივ ფრანკ რიბერი, მარცხნივ კი ფლორენ მალუდა ჰყავს. მოკლედ, როგორც განვლილ მუნდიალზე იყო, ოღონდ ზიდანის ნაცვლად საა: სულ ესაა ფრანგთა სახეცვლილება, მაგრამ როგორი სათქმელია „სულ ესაა“, როცა საქმე ზიდანს ეხება — ერთი კაცის წასვლამ დომენეკს ტაქტიკური მონახაზის შეცვლა აიძულა.

ბუნებრივია, ფრანგული მასმედია ალენ ჟირესის საქართველოში გატარებულ პერიოდსაც იხსენებს, მან ვერ შეასრულა დავალება, ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანაო, საერთოდაც ცუდი შედეგი ჰქონდა და კონტრაქტის ამოწურვამდე მოხსნესო.

ფრანგთა ახალბედა საყრდენი შუახაზელი ალიუ დიარა და მცველი ვილი სანიოლი კი ისევ ზიდანს მისტირიან — მის გარეშე სხვანაირად თამაში მოგვიწევს და ყველანი ბოლომდე უნდა ვეცადოთ, რათა დანაკლისი სახელად „ზიზუ“ ამოვავსოთო...

**ილია ნანობაშვილი**



რაიმონ დომენეკმა გუშინ ერთხელაც მოიკითხა დავიდ ტრეზეგეს ამბავი და საიმედო ვერაფერი შეიტყო

AFP



ლილიან ტურამი, კლოდ მაკელელე, ფრანკ რიბერი და ფლორენ მალუდა არაფერს უჩივიან

**geo_geo_fan@hotmail.com**

და აი, საფრანგეთთან თამაში კარს მოგვადგა და რას აკეთებთ ამ დროს თქვენ? რა თქმა უნდა, ქომაგთა რუბრიკისთვის წერილებს გვწერთ. მართალია, საამრუბრიკო ანონსი არ გაგვიკეთებია, თუმცა „სარბიელის“ მკითხველებმა უამისოდაც გადაწყვიტეს ჩვენთან დაკავშირება და აი, მათი წერილებიც.

რუბრიკა ღიაა უკრაინასთან 6 სექტემბრის მატჩამდე. ასე რომ, მოგვწერეთ და უქომაგეთ საქართველოს ნაკრებს!

# თქვენ ხომ ეს შეგიძლიათ?!

**KANDARELLI**: გაუმარჯოს „სარბიელს“. 2 სექტემბრის თამაშზე და მის შედეგზე, დღესაც შემიძლია ორიოდე სიტყვის თქმა, მაგრამ თავს შევიკავებ და სულ სხვა თემას შევეხები. ლაპარაკია ათასობით დამწუხრებულ ადამიანზე, რომლებიც ამ სიცხეში ეროვნული სტადიონის გისოსების წინ დგას და ამაოდ ელიან ბილეთების მოტანას. ყური მოვკარი, სტუმრად ზინედინ ზიდანის დაპატიჟებაც კი უნდათო. საინტერესოა, ზიდანის ყურამდე თუ მივა ეს ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება. შეიძლება არც კი... „ზიზუმაც“ თუ ვერ იშოვა ბილეთი და ეს პენსიონერი კაცი სტადიონს მიღმა დაგვიტოვეს, მერე ვიმტვრიოთ თავები... მე 2 სექტემბრის თამაშის ბილეთი ნაკლებად მაწუხებს, რადგან საქართველოში არ ვარ და განმეორებით მატჩზე ვაპირებდი საფრანგეთში ჩასვლას, მაგრამ ვაითუ ბილეთი არ შემხვდეს...

ხალხო, ხუმრობა იქით იყოს და, როდემდე აპირებს ქართველი ხალხი ჩუმად ყოფნას? ვერ ხედავთ, რომ საერთოდ არ რცხვენიათ ჩვენს ჩინოვნიკებს და ორი კაპიკის გამო სულ აიღეს ხელი თავმოყვარეობაზე. იცით, რომ 2007 წლის „რეალი“ — „ბარსას“ ბილეთები ამ წუთშიც შეგიძლიათ იყიდოთ? მიუხედავად იმისა, რომ თამაშამდე ნახევარ წელიწადზე მეტია დარჩენილი. დარწმუნებული ვარ, ვინმე მეტყვის, ჩვენ არც მადრიდი ვართ და არც ბარსელონაო. ეს მართალია, მაგრამ როცა აწყობთ, ვიღაც-ვიღაცებს ნიუ იორკის და პარიზის დონეზე აქვთ პრეტენზია. უბრალოდ, იყენებენ იმას, რომ ხალხი დაკნინდა და დაბეჩავდა. დიდი ნაწილი ცხვრის ფარას ჰგავს. არც შვიდლარიანი ბილეთები გათავებულა და არც თხუთმეტლარიანი. ამ ბილეთებს ხალხი შაბათს, თამაშამდე ორი საათით ადრე შავ ბაზარზე ნახავს ათმაგ ფასში. ყოველთვის გამოუჩნდება ამ ბილეთს მყიდველი — ადამიანები, რომლებმაც სამი ფეხბურთელის გვარიც კი არ იციან საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ ჩვენს ნაკრებს ნამდვილი გულშემატკივარი სჭირდება, ნამდვილი ფანები და ის „ერთი გუნდი“, რომლის შესახებაც ასე ომახიანად მღერიან ტელევიზორში ყოველდღე. მე მგონი, ამან უნდა ითამაშოს შაბათს დიდი როლი.

**MEZVRO**: სალამი ხალხს! წინ დიდი შეხვედრა გველის და, ზოგადად, აზრები და მოლოდინი ყველა გულშემატკივარს, დარწმუნებული არ, ძირითადად ერთნაირი გვაქვს — „მეტად მოსალოდნელი ფრანგთა გაწარჯვება“; „ომი და ბრძოლაა საჭირო. აი, როგორც „ამერმა“ იომა „ჰერტასთან“; „ფრე სულაც არ არის ოცნების სფერო“; „მოგებაც კი შეიძლება“...

ისე, ლოგიკას და ობიექტურობას მერე მაინც სუბიექტურობა გადაძალავს, სტადიონზე მხოლოდ გამარჯვების მოლოდინში მივალთ... იმედი ძალიან კარგია, უიმედოდ არასოდეს არ უნდა იყოს კაცი, ფეხბურთელებიც იმედიანად და მხნედ უნდა იყვნენ. ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს: თუ წავაგებთ, ამხელა მოლოდინს ცივი წყალი თუ გადაესხმება, ეს ნუ გახდება მობრუნებული გულების ერთბაშად გაცივების და ზურგის ჩვენების მიზეზი.

P.S. ისე, ფედერაციის პრეზიდენტიც ვინმე გერმანელი ხომ არ დავნიშნოთ?!

**ZIZI_TOP**: „სარბიელს“ სალამი. აი, საფრანგეთიც მოვიდააა... რა უნდა ვთქვა, მსოფლიოს ვიცეჩემპიონთან უეჭველი მოგება, აბა, როგორ მოვითხოვო, მაგრამ ბიჭების იმედი მაქვს. მათ შეუძლიათ ჩვენი გახარება, მათ შეუძლიათ ღირსეული თამაში, მათ შეუძლიათ მთელი 90 წუთი ტაში დაგვაკვრევინონ... ჰოდა, გაგვახარეთ ბიჭებო! თქვენ ხომ ეს შეგიძლიათ?! მერე რა, რომ საფრანგეთია, თამაში და მოგება ყველასთან შეიძლება. ვცადოთ და იქნებ გამოგვივიდეს...

geo_geo_fan@hotmail.com



„ზესტაფონში“ დანიშვნამდე სამი დღით ადრე თემურ მახარაძემ მცხეთაში შორიდან უყურა „ვიტ ჯორჯიასგან“ ზესტაფონელთა განადგურებას

# ყვირილამ მახარაძეს მესამედ დაუძახა

**თემურ მახარაძე** „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელად დაბრუნდა. გუშინ ვწერდით, რომ იმერული გუნდის ფან-კლუბმა „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა, ცუდი შედეგებისა და უხარისხო თამაშის გამო თანამდებობა დაეტოვებინა მერაბ კოჭლაშვილს და მის ნაცვლად მახარაძე დაენიშნათ. ასეც მოხდა...

მახარაძემ 2004-2005 წლების სეზონში ჩაიბარა „ზესტაფონი“. ამ დროს გუნდი აუტსაიდერთა შორის იყო, მაგრამ გამოცდილი მწვრთნელის ხელში წაუგებელი მატჩების სერია გააზერხრა, სამეულშიც კი იყო და თასის ფინალშიც გავიდა, სადაც „ლოკომოტივთან“ 0:2 დამარცხდა.

მახარაძე წინა სეზონის დასაწყისშიც წვრთნიდა „ზესტაფონს“. თუმცა ოქტომბერში ბოლნისის „სიონთან“ მარცხის შემდეგ მის ნაცვლად კობა ჟორჟიკაშვილი გათავკაცდა.

მოკლედ, გუშინ მახარაძე მესამედ მივიდა „ზესტაფონში“ და როგორც შევიტყვეთ, რამდენიმე ფეხბურთელით აპირებს კიდეც გუნდის გაძლიერებას.

**ილია ნანობაშვილი**

# სერბეთმა საქართველო ლიფტით იცის



მიროსლავ ჯუკიჩი

**3 სექტემბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევრო 2007-ის მეორე ჯგუფური ეტაპის მატჩში სერბეთს მასპინძლობს. გუშინდელ „სარბიელში“ რალფ მინგეს რჩეულთა სია გაგაცანით, დღეს კი მიროსლავ ჯუკიჩის გუნდზე ვთქვათ — სერბთა თავკაცს სათბილისო შემადგენლობაში 19 ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაგან ყველაზე ცნობილი მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველი მილოშ კრასიჩია.

„პირველი ტურის ლიტვა — საქართველოს მატჩი ვნახე და მეტოქეზე შთაბეჭდილება შევიქმენი. თბილისში მხოლოდ მოსაგებად მივდივართ და ყველანაირად ვეცდებით, სამი ქულა ავიღოთ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ჯუკიჩმა.

**მეკარეები:** დამირ კახრიმანი (ვოივოდინა), იგორ სტეფანოვიჩი (რადნიჩკი);

**მცველები:** ნემანია რნიჩი (პარტიზანი), ზორან რენდულიჩი (ბორაცი), დუშკო ტოშიჩი (სოშო, საფრანგეთი), ბორია იველია (ოფკ), ალექსანდრ კოლაროვი (ოფკ), გოიკო კაჩარი (ვოივოდინა);

**ნახევარმცველები:** ნიკოლა დრინჩიჩი (გაზიანთეფი, თურქეთი), დეიან მილოვანოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), მარკო პეროვიჩი (ცრვენა ზვეზდა), დუშან ბასტა (ცრვენა ზვეზდა), მილოშ კრასიჩი (ცსკა, რუსეთი), ბოშკო იანკოვიჩი (მალიორკა, ესპანეთი), სტეფან ბაბოვიჩი (ოფკ), მიროსლავ რადოვიჩი (ლეგია, პოლონეთი), მილან სმილიანიჩი (პარტიზანი);

**თავდამსხმელები:** ბორია რაკიჩი (ოფკ), დრაგან მრკა (ლიერსი, ბელგია).

შეგახსენებთ, რომ საქართველო — სერბეთი 3 სექტემბერს „მიხეილ მესხზე“ გაიმართება.

**კახა შალამბერიძე**

## საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი

I წრე. 4 ტური

ფეხბურთს სენსაციები უხდება? იყო. გოლები უხდება? იყო. დაწინაურებული გუნდი რომ აგებს, უხდება? ესეც იყო. მოკლედ, რაც ზედაპირულად მოსაწონია, მეოთხე ტურში ყველაფერი ვნახეთ და მერე რა, რომ თამაშის დონე ისევ ერთ ადგილზეა გაყინული — სხვანაირად ვინმე ელოდა თუ?..

დილა 1:4 ამერი
დინამო 0:1 ტორპედო
ბორჯომი 3:4 მერანი
ბათუმი 1:2 სიონი
ვიტ ჯორჯია 3:0 ზესტაფონი
ოლიმპი 1:0 ლოკომოტივი
ჩიხურა 3:1 კახეთი

# ამერი გაამირდა

## როცა ჩემპიონატის კლასიკო ტურის კლასიკოც არაა

დრო იყო, „დინამო“ — „ტორპედოს“ ჯახს „ქართულ კლასიკოდ“ ვნათლავდით, ახლა კი კლასიკო რა მოსატანია, ტურის ცენტრალური მატჩის იარლიყიც კი არ ეკრა. საქართველოს ჩემპიონატში ცოტა ძნელია, ვინმეს ვინმესთვის უხერხული მეტოქე უწოდო, მაგრამ მოდი და ნუ იტყვი, რომ ქუთათურებს დინამოელები გამოჭერილები ჰყავთ — ბოლო წლებია, „ტორპედო“ სულ გასაჭირშია, ზოგჯერ უიმედო აუტსაიდერებთან წაგებებს არ თაკილობს, მაგრამ „დინამოსთან“ თავს იკლავს და შედეგს აღწევს. დიახ, პრეზიდენტდაპატიმრებულმა და საერთოდაც შემადგენლობასუსტმა „ტორპედომ“ თბილისში 1:0 მოიგო.

„დინამო“ ლამის მთელი თამაში უტევდა, მომენტს მომენტზე ქმნიდა, მაგრამ იმერელთა ლიდერმა დავით გამეზარდაშვილმა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შორიდან ცხრიანში ჩააჭედა ბურთი. კახა კაჭარავას გუნდმა მიჯრით მეორე თამაში წააგო და საკითხავია, როდემდე უნდა იყოს „დინამო“ ასეთ დღეში, მარტო სახელიღა რომ აქვს დარჩენილი...

„ტორპედოს“ კი ნურავინ შეეხუმრება, რევაზ ძოძუაშვილის ბიჭებმა უკვე რვაქულიან თამასას უწიეს და წაგებას ცოცხალი თავით არ აპირებენ.

მცხეთა: აი, სად იყო ტურის მთავარმატჩი და სად იყვნენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და ფედერაციის მესვეურობა. „ვიტ ჯორჯიამ“ უმოწყალოდ დაჩაგრა სტუმარი „ზესტაფონი“, რომლის კარის დარაჯ გრიგოლ ჭანტურიას ქცევა მართლაც დასაფიქრებელია — ეროვნული ნაკრების მეკარეს (თანაც ასე გამოცდილ და მრავლისმნახველს) საჯარო აყალ-მაყალი არ უხდება და ჭანტურია როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ტოპმიოლერზე, მგონი, იოლი მისახვედრია...



მეოთხე ტურმა ერთი მწვრთნელი შეიწირა: მერაბ კოჭლაშვილი „ზესტაფონიდან“ წავიდა

რუსთავის „ოლიმპი“ კი იგებს და არ ჩერდება, ამჯერად გიორგი კიკნაძის გუნდი ათი კაცით მოერია „ლოკომოტივს“ და ქულათა გრაფაში 10, გაშვებულ გოლებში კი 0 უწერია. თანაც ოლიმპელებმა ორ ზორბა ფავორიტთან — „სიონთან“ და „ზესტაფონთან“ — მოიგეს გასვლითი მატჩები.

ზეიმი იყო საჩხერეში, სადაც „ჩიხურამ“ უმაღლეს ლიგაში თავისი პირველი გოლები და მოგება ჩაიწერა, თანაც თითქმის ოფლდაუღვრელად — რას იზამ, „კახეთი“ იმდენად სუსტია, რომ სტუმრად თამაშის დაწყებამდე აგებს — თელაველები ერთპიროვნული აუტსაიდერები არიან, ზემოიმერლები კი, ასე გვგონია, უფრო მოუმატებენ. ბრძოლისუნარიანი შემადგენლობა ჰყავს ხვიჩა ქასრაშვილს.

მთლად არეულა „ბორჯომი“ და ისევ არგენტინისკენ იყურება. დიახ, შესაძლოა, გონსალო დე პორასის და დარიო სებალეს გზას კურორტზე სხვა პატაგონიელებიც დაადგნენ, მაგრამ მანამდე „ბორჯომი“ საცოდავ დღეშია — ამჯერად შინ „მერანს“ დაეჩაგვრინა.

„ბორჯომს“ არ ვადარებთ, მაგრამ ვერც „სიონია“ ადრინდელივით ჯანზე. ქვემოქართლელებმა ბათუმში კი მოიგეს, მაგრამ ბოლო წუთებზე ზღაპარში გადარჩნენ. თავის მხრივ, ზღვისპირელები მხოლოდ უმაღლესში დასარჩენად თუ იბრძოლებენ. კულუარებიდან კი ისიც შევიტყვეთ, ბოლნისელებს რომ ვერ მოეგოთ, კახა ცხადაძე მწვრთნელის პოსტს დატოვებდაო.

დღევანდელ „სიონს“ ჩემპიონობისა არაფერი სცხია, სამაგიეროდ, ცხრილის თავშია ისეთი გუნდი, ბოლო კვირებში ქართულ დონეს რომ გადააჭტა და ბუნდესლიგურ „ჰერტას“ ტოლ-სწორად ეჭიდავა. გიორგი ჩიხრაძის „ამერმა“ გორში ცალი ფეხით მოიგო, ქულადაუკარგავად მიჰქრის და ვინძლო, წლევანდელი თასი ხაგაისო ჩემპიონობით გადაწონოს.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 12 |
| ოლიმპი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:0 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| ტორპედო | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ზესტაფონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | 6 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ჩიხურა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |
| დილა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:13 | 1 |
| კახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:14 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 3-დვალი | დინამო |
| გოჩაშვილი | ლოკომოტივი |
| სახოკია | ვიტ ჯორჯია |
| ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| საჯაია | ბორჯომი |
| გაგუა | მერანი |
| 2-იაშვილი | დინამო |
| ჭელიძე | ზესტაფონი |
| სირბილაძე | ოლიმპი |
| დვალიშვილი | ოლიმპი |
| ლომაია | ვიტ ჯორჯია |
| ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| მიძაძე | ჩიხურა |

### მომდევნო ტური

9 სექტემბერი, შაბათი
ამერი – ბორჯომი
ტორპედო – დილა
სიონი – დინამო
კახეთი – ბათუმი
ზესტაფონი – ჩიხურა
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
მერანი – ოლიმპი

### სიმბოლური ნაკრები

ნიკა გელაშვილი — ვიტ ჯორჯია
გიორგი მიძაძე — ჩიხურა
გიორგი ფეიქრიშვილი — ვიტ ჯორჯია
ლაშა ძებაძე — ოლიმპი
არჩილ ალავიძე — სიონი
გიორგი დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
ჟოსიმარ ამბროზიო — დინამო
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
ამირან კედელაშვილი — ამერი
ბესიკ კოდალაევი — ტორპედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირდაუბანელთა საქმე: იუვე და ფედერაცია — ხელმა ხელი ვერ დაბანა



სილვიო ბერლუსკონის „მილანს“ არ გაუნულეს



ფედერაციის შეფი გვიდო როსი



დიეგო დელა ვალეს „იებს“ მინუს 19 დაუტოვეს

**ხომ გახსოვთ** გუშინდელი ცნობა? „იუვენტუსმა“ განაცხადა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის კარგად დამთავრების შემთხვევაში სამოქალაქო სასამართლოში აღარ იჩივლებს. მოლაპარაკების კარგად დამთავრებაში ტურინული კლუბი სერია **B**-ში დარჩენას, მაგრამ მინუს-ქულების დაკლებას თუ სულ გაუქმებას გულისხმობდა. მოკლედ, „ბებერი ქალბატონი“ იტალიური ფეხბურთის შეფებს სთავაზობდა პრინციპს, ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს — ისინი ვერდიქტს შეამსუბუქებდნენ, კლუბი კი სასამართლოში აღარ მივიდოდა და ამით მთელ ქვეყანას ფიფას რისხვისგან იხსნიდა. შევახსენებთ რისხვის ამბავსაც — იმ შემთხვევაში, თუ „იუვენტუსი“ საფეხბურთო სამყაროს ავტონომიურობას დაარღვევდა და საქმეში სამოქალაქო სამართალს ჩარევდა, მსოფლიო ფეხბურთის შეფები იტალიის ნაკრებისა და ქვეყნის კლუბების საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოკვეთით იმუქრებოდნენ, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი ხდება და ნურც ეს ამბავი გაგაკვირვებთ: რა მოლაპარაკებები, რის მოლაპარაკებებიო, შორს დაიჭირა ფედერაციამ.

ციტატა ფედერაციის ოფიციალური განცხადებიდან: „იტალიის ფეხბურთის ფედერაციასა და „იუვენტუსს“ შორის არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს და ფედერაციის პოზიცია ამ კლუბის მიმართ ისეთივეა, როგორიც კალჩოპოლის სკანდალში მონაწილე სხვა კლუბების მიმართ. ფედერაციისთვის ცნობილია, რომ სამოქალაქო სასამართლოს „TAR ლაციოს“ „იუვენტუსის“ საქმის გარჩევა 1 სექტემბრისთვის აქვს დანიშნული და მისი ვექილები სწავლობენ მომჩივანი მხარის პრეტენზიებს, რათა სხდომაზე პასუხი გასცენ.“

ვინ ტყუის, „იუვენტუსი“ თუ ფეხბურთის ფედერაცია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერჯერობით ნამდვილად არ ვართ მზად, ხოლო იმას, რა პოზიცია უკავია ორგანიზაციას კალჩოპოლის სკანდალში მონაწილე სხვა გუნდების მიმართ, მოგახსენებთ: ფედერაციასთან მოლაპარაკებებს „მილანი“ და „ფიორენტინაც“ აპირებდნენ და ამათი მიზანიც მინუს-ქულების განულება გახლდათ. შეგახსენებთ, რომ „შავწითლებს“ ახალი სეზონის მინუს 8 ქულით დაწყება აქვთ მისჯილი, ხოლო „ფიორენტინას“ მინუს 19 ქულით, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ფედერაციის განცხადებაში წერია, რომ ის და „მილანი“ ვერ მორიგდნენ, თუმცა რაღაც არბიტრაჟის შესაძლებლობაზე შეთანხმდნენ. სხვა სიტყვებით, თემას ისევ დაუბრუნდებიან და, ალბათ, სტადიონის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციისა და 100 ათას ევროიანი ჯარიმის ამბავს იქ განიხილავენ.

„ჩვენ დღეს მორიგება გვერჩივნა, მაგრამ ის, რომ უარი საბოლოო არ არის და საკითხს კიდევ განვიხილავთ, მაინც კარგია. ვიმედოვნებთ, რომ მინუს ქულებს გაგვიუქმებენ, თუმცა რომ არ გაგვიუქმონ, ტრიბუნალის გადაწყვეტილებას არ შევეწინააღმდეგებით“ — განაცხადა „მილანის“ ვექილმა ლეანდრო კანტამესამ.

იგივე ხდება „ფიორენტინასთან“ დაკავშირებით.

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ, როგორც „მილანი“, ასევე „ფიორენტინა“ ცდილობენ, „იუვენტუსს“ ხაზგასმით გაემიჯნონ და სპორტული სამართლის ჩარჩოებს არ გასცდნენ. ამ მხრივ საინტერესო გახლდათ ფლორენციელთა ადვოკატის, ენრიკო ინგრილის განცხადება:

„სამოქალაქო სასამართლოში ჩივილის უფლება ყველას აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველასთვის ცხადია, რომ „ფიორენტინა“ ამას არ აპირებს. კლუბი სპორტული სამართლის ჩარჩოებს არ გასცდება.“

**ბაპუნა ქედია**

# თავი დახარე და მართალი იქნები
## პატივი ვცეთ კაცს, რომელმაც სკამს ფეხი დაარტყა



„**ინტერის**“ პატრონი მასიმო მორატი ამბობს, რომ მოახლოებულ სეზონში ადრიანოს დიდი იმედი აქვს და ბრაზილიელმაც კეთილი სიტყვით უპასუხა შეფს, თუმცა დავიწყოთ მორატით.

„გაზეთებში უამრავი რამ წავიკითხე, მაგრამ ყველაფერმა კიდევ უფრო მეტად მაფიქრებინა, რომ ჩვენ ადრიანოს უნდა ვენდოთ და მის შესაძლებლობებს პატივი ვცეთ. ეს ის კაცია, რომელმაც „ინტერის“ ამჟამინდელი და მომავალი ბრძოლები პირადად უნდა მოიგოს.“

შეგახსენებთ, რომ „ინტერში“ ადრიანოს პრობლემებზე დიდი ხანია ლაპარაკობენ, პრესის ბოლო ხმაური კი „რომასთან“ სუპერთასზე ამასწინათ ნათამაშებმა მატჩმა გამოიწვია. ეს მატჩი „ინტერმა“ 4:3 მოიგო. ადრიანო თავიდან სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ, ხოლო შემდეგ, მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ იგი შეცვალა, რამაც ბრაზილიელი გააცხარა და სათადარიგოთა სკამს ფეხი დაარტყა.

ინციდენტის მეორე დღეს გაზეთებში ისიც კი ეწერა, რომ ადრიანო მადრიდის „რეალში“ გადადის, ხოლო იქიდან „ინტერს“ რონალდო გადმოყავს, თუმცა, როგორც მორატის ზემოხსენებული და ადრიანოს ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამები ადასტურებს, კლუბსა და ფეხბურთელს შორის პრობლემები თუ იყო, მოგვარებულია.



მასიმო მორატის ადრიანო გაბრაზებულიც უღირს

„მორატიმ და მთელმა „ინტერმა“ ერთხელაც მაჩვენეს, რომ აბსოლუტურად მენდობიან, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი დამოკიდებულებაც ისეთივეა, როგორიც ადრე იყო, იმედი მაქვს, რომ ამ კლუბის სასიკეთოდ ბევრ თამაშს მოვიგებ“ — თქვა თავდამსხმელმა.

მოგებაზე ლაპარაკობს „ინტერის“ კიდევ ერთი ვარსკვლავი ლუიშ ფიგუ. ის დარწმუნებულია, რომ ამ სეზონში „შავ-ლურჯებს“ ყველაფრის მოგება შეუძლიათ.

„ჩვენ ის გუნდი ვართ, რომელსაც სკუდეტოს მოგებაც აქვს დაგეგმილი და ჩემპიონთა ლიგისაც — თქვა 33 წლის პორტუგალიელმა — ამ ზაფხულს ბევრი გამოცდილი და ნიჭიერი ფეხბურთელი შეგვემატა. ახლა ეს სიძლიერე მოედანზე უნდა ვაჩვენოთ. მწვრთნელს, რობერტო მანჩინის, ფაქტობრივად, ორი გუნდით შეუძლია მანიპულირება, რაც ძალიან კარგია, ვინაიდან წინ მთელი სეზონი გველის.“

ფიგუმ, ბუნებრივია, ადრიანოს პრობლემებზეც ილაპარაკა:

„ადრიანომ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა, რაც შეიძლება, მალე, საუკეთესო ფორმას მიაღწიოს. ახლა სეზონის დასაწყისია, წინ კი უამრავი სამუშაო და დიდძალი დრო გვაქვს. მან საკუთარი თავის რწმენა არ უნდა დაკარგოს, ნიჭი ერთ დღეში ვერ გაუქრებოდა. ფეხბურთელი მაშინ არის მართალი, როდესაც თავჩაუხრელად მუშაობს.“

**ბაპუნა ქედია**



# მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე ქანდაკება პელეს

**სან პაულუს** „ჟუვენტუდის" სტადიონის კარიბჭესთან პელეს ქანდაკება აღმართეს. 1959 წელს 18 წლის ლეგენდამ „ესტადიუ კონდე როდოლფო კრესპიზე" ულამაზესი გოლი გაიტანა, რის გამოც ბრაზილიელებმა ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს თითქმის 50 წლის შემდეგ ბიუსტი მიუძღვნეს.

ფეხბურთის მეფემ ხსენებული გოლი „ჟუვენტუდის" კარში 1959 წლის 2 აგვისტოს შეაგდო. მაშინ პელეს დიდებულმა „სანტოსმა" ბრაზილიის ჩემპიონატში მოკრძალებულ „ჟუვენტუდს" 4:2 მოუგო.

სამშაბათს, „ესტადიუ კრესპიზე" ბიუსტის გახსნის საზეიმო ცერემონიალს სამი ათასი ბრაზილიელი ფანი დაესწრო. პელემ ასევე, სამახსოვრო მოოქროვილი დაფაც მიიღო ამასთან დაკავშირებით.

საზეიმო ამბავს სხვებთან ერთად თვალყურს, ფეხბურთის მეფის თანატოლი ვეტერანებიც ადევნებდნენ — ლუიშ მიულერი, პალინია, პიტა, ბირო-ბირო და ადაოზინიო.

პელეს კარიერის განმავლობაში 1283 გოლი გაუტანია, თუმცა დიდსაფეხბურთო ლეგენდას „ჟუვენტუდთან" განცდილი სიხარული არ ავიწყდება. „მას შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა, მაგრამ ის გოლი გუშინდელივით მახსოვს... ძალიან დიდი სიხარულია ჩემთვის, რომ ხალხმა დამაფასა და „ესტადიუ კრესპიზე" ამდენი გულშემატკივარი მოვიდა" — განაცხადა მითიურმა კაცმა ჟურნალისტებთან.

მეფეს ერთ რამეზე მაინც გული სწყდება: „იმ გოლის არც ფოტო არსებობს და არც კინოჩანაწერი. ეს ძალიან საწყენია..."

ბრაზილიის სპორტის ყოფილმა მინისტრმა შემდეგ, „ჟუვენტუდისა" და ბრიზილიის ნაკრების ამხანაგური მატჩიც გახსნა — ბურთზე პირველი საპატიო შეხების უფლება, რა თქმა უნდა, პელეს მიაკუთვნეს.

შორეულ 1959-ში კი ახალგაზრდა პელემ თანაგუნდელი დორვალისგან პასი მიიღო, 3 ჟუვენტუდელი ლამაზად მოატყუა და ბრწყინვალე გოლი შეაგდო. ქანდაკებაც ამიტომ დაუდგეს...

**ლადო ხომერიკი**

# მეთოდებზე დაგიძველდა, კაპელო!



**ფაბიო კაპელო** მისმა ყოფილმა შეგირდმა ალესიო ტაკინარდიმ გააკრიტიკა. მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე, დონ ფაბიოს „რეალი" სეზონის პირველ მატჩში ტაკინარდის „ვილიარეალს" „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეხვდა და მატჩი უგოლოდ დასრულდა. ამან კი „სამეფო გუნდის" ქომაგთა უკმაყოფილება გამოიწვია.

„კაპელოს გუნდები ძალიან დაცვით ფეხბურთს თამაშობენ, რომელიც პირადად მე არ მომწონს. შესაძლოა, იგი გამარჯვებული და წარმატებული მწვრთნელია, მაგრამ იოლია იყო ასეთი, როცა კლუბი ვარსკვლავებითაა გადაჭედილი. ვნახოთ, რას მიაღწევს იგი „რეალთან" ერთად, მაგრამ ერთი მატჩი უკვე უშუალოდ მინდორზე ვიხილე და მადრიდელები ცუდად თამაშობდნენ" — თქვა 31 წლის ნახევარმცველმა.

ტაკინარდის და კაპელოს ძველი ანგარიშები აქვთ. გამოცდილი ნახევარმცველი 11 წლის განმავლობაში იცავდა „იუვენტუსის" ღირსებას და საკმაო ხანს გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყო, თუმცა ტურინელთა სათავეში კაპელოს მისვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დონ ფაბიომ ტაკინარდი აითვალწუნა და სათადარიგოთა სკამს დაუმეგობრა. ფეხბურთელიც იძულებული გახდა, „დელე ალპი" დაეტოვებინა და „ვილიარეალს" მიაშურა.

ალესიო ტაკინარდი: „პრიმერადივიზიონში ხალხს შემტევი გუნდების ხილვა სურს და მათ არ მოსწონთ ისეთი დაცვითი სტილი, რომელსაც კაპელო მისდევს, დარწმუნებული ვარ, „რეალი" მატჩების უმეტესობას 1:0-ს მოიგებს ან 0:0-ს ითამაშებს, რადგან მადრიდელთა მწვრთნელის მენტალიტეტი ასეთია — ჯერ თავი უნდა დაიცვა, სანამ შეტევაზე იფიქრებდე. მთავარი ის კი არ არის, რომ გაიტანო, არამედ — არ გაუშვა. ვფიქრობ, ეს ესპანეთში არ იმუშავებს".

**გიორგი ძაძაბაძე**




# მხეცი თოფზე მიდის





**ამბობენ,** რომ არსენ ვენგერი ალექს ფერგიუსონს სადაცაა 18 მილიონ გირვანქად დაამარცხებს — „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ეს ბრძოლა ბრაზილიურ „კორინთიანსში" მოთამაშე 22 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, მხეცად წოდებული კარლოს ტევესის ხელში ჩასაგდებად გახლავთ ატეხილი. გუშინ ტევესი მანჩესტერში კი არა, ლონდონში უნდა ჩაფრენილიყო და „მეთოფე ექიმებს" გასინჯვოდა.

ამბობენ იმასაც, რომ თავად არგენტინელ ფეხბურთელს გული უმალ „არსენალისკენ" მიუწევდა, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედისკენ", აი, ფერგიუსონს კი იგი ბაიერნელი ოუენ ჰარგრივსის შემდეგ მეორე მიზნად ჰყავდა ამოღებული და ამ მიზნის ხელიდან გამოცლა მისთვის საკმაოდ უსიამოვნო რამ იქნებოდა.

„არსენალი" ტევესს ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

**პაპუნა ძიდია**

# ამხანაგური ომი ნეიტრალურ მიწაზე

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ 3 სექტემბერს ბრაზილიასთან ამხანაგურად სათამაშოდ ხავიერ სავიოლასაც უხმო. „ბარსელონას" ფორვარდი თავდაპირველ განაცხადში არ იყო, მაგრამ ბოლოს მაინც გამოიძახეს. მიწვეულნი არიან კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო „კორინთიანსიდან". კლუბს მასკერანოს გაშვება არ სურს, კვირას, 3 სექტემბერს, ჩემპიონატში თამაში გვაქვსო. არადა, ფეხბურთელი წინა ტურში გაძევების გამო დისკვალიფიცირებულია და შეუძლია, კვირას ლონდონში ჩავიდეს. რატომ ლონდონში? იმიტომ, რომ ბრაზილია — არგენტინა „არსენალის" 60-ათასიან „ემირატ სთეიდიუმზე" გაიმართება და, რასაკვირველია, ყველა ბილეთი გაყიდულია.

ეს იქნება არგენტინის ნაკრების ახალი მწვრთნელის, ალფიო ბაზილეს პირველი მატჩი. იგი გუნდს 1991-94 წლებშიც თავკაცობდა და აშშ-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში რუმინეთთან დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ სწორედ იმ მუნდიალზე გამოიჭირეს დიეგო მარადონა დოპინგზე და მის გარეშე მოთამაშე არგენტინელებს რუმინელებმა აჯობეს.



ხავიერ სავიოლა

*მეკარეები:* *რობერტო აბონდანსიერი (ხეტაფე), ლეო ფრანკო (ატლეტიკო);*

*მცველები:* *ლეონარდო პონციო (სარაგოსა), ფაბრიციო კოლოჩინი (დეპორტივო), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა), ვალტერ სამუელი (ინტერი), კლემენტე როდრიგესი (სპარტაკი), ფაბრიციო ფუენტესი (ატლასი);*

*ნახევარმცველები:* *ხავიერ მასკერანო (კორინთიანსი), პაბლო საბალეტა (ესპანიოლი), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო), რიკელმე ლეანდრო სომოსა (ორივე ვილარეალი), ლუის გონსალესი (პორტუ), ფედერიკო უნსუა (მონხენგლადბახი);*

*თავდამსხმელები:* *მესი (ბარსელონა), ტევესი (კორინთიანსი), სერხიო აგერო (ატლეტიკო), დანიელ ბილოში (სენტ ეტიენი), სესარ დელგადო (კრუს ასული), რავიოლა (ბარსელონა).*

ეროვნული ბიბლიოთეკა




სტიდ მალბრანკი

# სამი მამლის ამბავი

ლონდონის „ტოტენჰემმა" ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე სამი მოთამაშე დაიმატა, რითაც „მამლების" მწვრთნელმა მარტინ იოლმა ამ ეტაპზე კლუბის გაძლიერება დაასრულა. „რომადან" აჰმედ ჰოსამ მიდოს ყიდვის შემდეგ მათ „უიგანიდან" პასკალ ჩიმბონდა, ხოლო „ფულემიდან" სტიდ მალბრანკი დაიმატეს. ეს ტრიო „ტოტენჰემს" სულ 11,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ჩიმბონდაში „ტოტენჰემი" 3,75 მილიონ გირვანქას ახლავე გადაიხდის. თუ გამოცდილი მცველი „მამლების" ძირითად შემადგენლობაში ხშირად ითამაშებს, „უიგანი" კიდევ 1,25 მილიონს მიიღებს.

მალბრანკი კი „მამლებმა" ცხვირწინ ააცალეს თანაქალაქელ „ვესტ ჰემს". 26 წლის ფრანგი „ფულემს" რომ დატოვებდა, კარგა ხანია, ცნობილი იყო, რადგან მან ახალ კონტრაქტს ხელი არ მოაწერა. „ჩაქუჩებს" კი მასთან შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეული ჰქონდათ, მაგრამ მალბრანკმა ბოლო მომენტში „უაით ჰართ ლეინზე" გადაბარგება არჩია. ამბობენ, ნახევარმცველი კვირაში 30 ათას გირვანქას მიიღებსო, ხოლო „ფულემი" მის ნაცვლად 2,5 მილიონს ჩაიჩხრიალებს.

რაც შეეხება მიდოს, რომელიც „ტოტენჰემში" წელიწადნახევრის მანძილზე იჯარით თამაშობდა, 4 მილიონი გირვანქა დაჯდა. ეგვიპტელი ტრანსფერით ძალიან კმაყოფილია. იტალიური „რომა" კი „მამლებს" კორეელ მცველ იუნგ პიო ლის სთხოვს. აქაოდა, მიდო უპრობლემოდ დაგითმეთ და პასუხად ლი მოგვყიდეთო.

„ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო „ტოტენჰემში" თამაში და გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ამ კლუბის მაისურის ტარება კიდევ მომიწევდა. ძალიან ბედნიერი ვარ და ერთი სული მაქვს, როდის გავალ ისევ „უაით ჰართ ლეინზე" და ბევრ გოლს გავიტან" — აღნიშნა მიდომ.

მარტინ იოლი: „მიდოს შეძენა ყოველთვის გვინდოდა და ბოლოს და ბოლოს ეს მოხერხდა. ახლა ჩვენს თავდასხმას გაძლიერება აღარ სჭირდება. მის გარდა ხომ რობი კინი, დიმიტარ ბერბატოვი და ჯერმენ დეფოც გვყავს".

**კოკი კანდელაკი**

# ეს ინჩ კონტრაქტ! ანდრანიკ ბოლტონიანი



პრემიერლიგის „ბოლტონმა" ირანელი ანდრანიკ ტეიმურიანის ტრანსფერი მოაკვარახჭინა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელს ბრიტანეთის სამუშაო ვიზა მისცეს. ამ ვიზის მიღება იოლი საქმე არაა, მაგრამ საგანგებოდ შეკრებილმა კომისიამ ირანელს პრემიერლიგისკენ გზა გაუხსნა.

ანდრანიკ ტეიმურიანი სემ ალარდაისს ამ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე უნახავს და ნახევარმცველის თამაში მოსწონებია. იგი ირანული „აბუ მუსლიმიდან" შეიძინეს და ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს. სემ ალარდაისი 23 წლის ნახევარმცველის გადაბირებით ერთობ კმაყოფილია: „ანდრანიკი ნიჭიერია და დარწმუნებული ვარ, პრემიერლიგას მალე შეეგუება. მისი ყიდვა ბევრ სხვა კლუბსაც სურდა და მიხარია, რომ მათ ვაჯობეთ".

ანდრანიკ ტეიმურიანი მეორე ნახევარმცველია, რომელიც „ბოლტონმა" ამ ზაფხულს შეიძინა. ირანელამდე მათ იდენ ტალი დაიმატეს.

**გიორგი დარჯანია**

# ეშინოდეთ შავ კატებს: მათ როი კინმა გადაურბინა

## გიჟმაჟმა ირლანდიელმა ბოდიშები ჩამოარიგა

ინგლისური „სანდერლენდის" ყოფილ ვარსკვლავსა და ამჟამინდელ თავმჯდომარე ნეილ ქუინს იმედი აქვს, რომ ფეხბურთელებს გუნდის ახალი მწვრთნელის შეეშინდებათ. „შავ კატებს" აქამდე თავად ქუინი წვრთნიდა, მაგრამ სეზონის კოშმარული დებიუტის შემდეგ (ხუთ მატჩში ოთხი წაგება და ერთი მოგება) გადადგა და გუნდი ფეთქებად როი კინს გადაულოცა. მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს






ნეილ ქუინი: „იმედია, ბიჭებს როისი შეეშინდებათ და ამიტომ მინდორზე ბოლომდე დაიხარჯებიან. „სანდერლენდის" მაისურის ტარება ნებისმიერ დროს დიდი პატივია და ეს ყველამ უნდა გაითავისოს. კინი მტკიცე ხასიათით გამოირჩევა და ფეხბურთელებს ახლა სულ სხვაგვარი დატვირთვა და სიმკაცრე ელით. ვფიქრობ, ისინი ამისთვის მზად არიან".

35 წლის კინს სამწვრთნელო გამოცდილება არ აქვს. მოგეხსენებათ, მან სათამაშო კარიერა ახლახან, გლაზგოს „სელტიკში" დაამთავრა, თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ირლანდიის ნაკრების ექსვარსკვლავისა ქუინს ძალიან ეიმედება და სჯერა, რომ „სანდერლენდი" მომავალ სეზონს ისევ პრემიერლიგაში დაიწყებს.

დავიწყებულია ძველი წყენაც. 2002 წელს, როდესაც კინმა ეროვნული ნაკრები დატოვა, ქუინიც შემოელანძლა, მას „მარიონეტი" უწოდა.

„კლუბის მმართველსა და მწვრთნელს შორის ყოველთვის არის კონფლიქტები — იხუმრა ქუინმა — ყველაფერი წარსულში დარჩა, ასეთი რაღაცეები ხდება და ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ხალხი ბედნიერია და უკვირთ, რომ კინის დაყოლიება შევძელით. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია და მეც ძალიან მიხარია, რომ ასეთ ადამიანთან მომიწევს მუშაობა. იმედია, „სანდერლენდს" ახალი, წარმატებული ეპოქა დაეწყება."

თავად კინმა კი ქუინის გარდა, „მანჩესტერის" მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონსაც მოუბოდიშა, აქაოდა, ბევრ რამეში მართალი არ ვიყავი და აღარ მინდა, შეცდომები გავიმეოროო. ხოლო ბრიტანული პრესა იუწყება, რომ კინის პირველი სამიზნე მისი ყოფილი თანაკლუბელი დუაიტ იორკია. ტრინიდადი და ტობაგოს 34 წლის კაპიტანი ამჟამად ავსტრალიურ „სიდნეიში" ირიცხება.

ბერძნებმა კი პირველივე წუთებიდან რომ დაიწყეს, ბოლომდე აწვალეს ფრანგები, მეტადრე ბერძნულ ნახევარზე და თავად 40 წუთის განმავლობაში ნელ-ნელა, მეთოდურად ზრდიდნენ სხვაობას. ერთმანეთს პასებს არ უგვიანებდნენ და კარგად გაშალაშინებული კომბინაციებით იხვეჭდნენ ქულებს. არც ერთ ბერძენს არ ჩაუგდია განსაკუთრებით ბევრი, როგორც ყოველთვის, ცოტ-ცოტა ყველამ ჩაყარა. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, ამ გუნდში მაიკლ ჯორდანიც კი დაკარგავდა ინდივიდუალურ ბრწყინვალებას და ბერძნული საკალათბურთო მექანიზმის ჭანჭიკად იქცეოდა. მაგრამ ეს ძალიან მძლავრი მექანიზმი კია — ბერძნებმა შარშან კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვეს, წლეულს მუნდიალის ნახევარფინალში მოიკალათეს, სადაც ამერიკას ხვდებიან და კაციშვილი ვერ აიღებს თავზე ხელს და ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მათ მანქანას მაინცდამაინც აქ გაუთავდება საწვავი.

**აშშ 85:65 გერმანია**
23:21 17:18 27:13 18:13
აშშ: ენტონი (19), ჯეიმსი (13), ჯონსონი (11), ბოში (10)
გერმანია: ნოვიცკი (15), ოკულაია (15)

მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიათ, თავს უფლება მისცენ და 40 წუთის განმავლობაში არც მეტი, არც ნაკლები, 40 სამქულიანი ისროლონ. და მიუხედავად იმისა, რომ ოკეანგაღმელებმა გერმანიისთვის დაშენილი ამ 40 ჭურვიდან მხოლოდ 10 უწიეს მიზანს, მაინც ამხელა სხვაობით იმარჯვეს. ნებისმიერ სხვა გუნდს წელში გატეხდა ასე არასწორად წარმოებული ომი, მაგრამ ამერიკელებს იმდენად მრავალფეროვანი არსენალი აქვთ, თითქმის არც დასტყობიათ „საბრძოლო მასალის“ ასე ქარაფშუტულად განიავება. კომპენსირებას იმით ახდენდნენ, რომ აცილებულ ბურთებს, უბრალოდ, ხსნიდნენ მეტოქის ფარიდან და შეტევასაც თავიდან იწყებდნენ. გერმანელთა ფარზე მათ 22 (!) ბურთი მოხსნეს, მაშინ, როცა მეტოქემ მხოლოდ 3-ჯერ მოახერხა საკუთარი აცილებულის მოხსნა.

და მაინც, გერმანია იბრძოდა, მთელი პირველი ტაიმი გოჯსაც არ უთმობდა ნბა-ს კრებულს და დიდ შესვენებაზეც მინიმალური სხვაობით (39:40) გავიდა. მაგრამ დირკ ნოვიცკის და მის რაზმს მესამე მეოთხედში დაღლა დაეტყოთ და კარმელო ენტონიმ ლებრონ ჯეიმსმა, ჯო ჯონსონმა და სხვებმა აქ დაიწყეს მოწინააღმდეგის კალათის მოოხრება. ყველაფერი მესამე 10-წუთეულში გაირკვა, რომელიც გერმანიამ 14 ქულით დათმო და ცხადი გახდა, დანაკარგს ვერაფრით აინაზღაურებდა.

თავად ნოვიცკის დიდად არ გაუბრწყინია, ნბა-ს უდიდეს არაამერიკელ ვარსკვლავს ამერიკელმა ნბა-ელებმა ხელ-ფეხი გაუკრეს და 15 ქულას დააჯერეს. აქედან 9 საჯარიმოებითაა მოპოვებული.

**კოტე ყორშია**

# ჩვენ ყველაფრის მოგება შეგვიძლია

*იაპონური მუნდიალის მეოთხედფინალში პაუ გასოლის ესპანეთის ნაკრებმა ლიტვის გუნდს გადაუარა. პირინეელები ბოლო 24 წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში პირველად გავდინენ. იქ კი არგენტინასთან ჯახი მოუწევთ. მადრიდული „ასის“ კორესპონდენტი ლიტვასთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ესპანელთა ლიდერს პაუ გასოლს გაესაუბრა*



— რა შესანიშნავი მატჩი იყო. თანამედროვე ესპანეთის ნაკრები გულშემატკივრებს დიდ იმედებს აძლევს...

— დიახ, ძალიან კმაყოფილები ვართ. თამაში, მართლაც კარგად წარიმართა. წლევანდელი მუნდიალის მოგების დიდი შანსი გვაქვს და ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებთ.

— დამშვიდდით, როცა „ფატალურ“ მეოთხედფინალურ ეტაპს გასცდით?

— რა თქმა უნდა. ესპანეთისთვის მეოთხედფინალი, ბოლო დროს, მართლაც, რაღაც გადაულახავ ზღუდედ იქცა და მოხარული ვარ, რომ ნავსი გავტეხეთ. თავდასხმაში ლიტველებზე უფრო ზუსტნი ვიყავით და დაცვაშიც თითქმის უშეცდომოდ ვიმოქმედეთ. ადვილი მატჩი არ ყოფილა, პირიქით, დავიტანჯეთ, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. მიზნისკენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით.

— ეს მიზანი ჩემპიონობაა?

— როგორც უკვე გითხარით, ტიტულის მოსაგებად უნიკალური შანსი გვაქვს... უკვე დავამტკიცეთ, რომ ესპანეთთან გამარჯვება ნებისმიერი მეტოქისთვის ძალიან ძნელია. თავადაც იცით, ესპანეთს არ სჩვევია მუნდიალებზე ასე ძლიერად გამოსვლა. ჯილდო ახლა ნამდვილად გვეკუთვნის, ამ გუნდს ყველაფრის მოგება შეუძლია.

— გეტყობათ, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებით...

— უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნახევარფინალის მოსაგებად უკვე მზად ვართ. ვისურვებდი, რომ ის მატჩი უმაღლეს დონეზე ჩავატარო, თუმცა რამე გაუთვალისწინებელი პრობლემაც თუ შემექმნა, საქმეს ჩემი თანაგუნდელები მოუვლიან.

— ვისი თამაში მოგეწონათ ლიტვასთან?

— ნავარომ ბრწყინვალედ ითამაშა. აგრესიულად, მარჯვედ, ზუსტად... თუმცა, საერთოდ, გუნდის თამაშითაც აღფრთოვანებული ვარ — ხიმენესი და კალდერონი დაცვაში დიდებულნი იყვნენ. მზად ვართ არგენტინის დამარცხებისთვის...

# კალათბურთის ავსტრალიური თავი დაედგა

## ბობი ელფსტონმა ფიბა ჩაიბარა

**გახურებული** მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ფიბას კონგრესი გაიმართა და ამ გრანდიოზულ ღონისძიებას, ისევე, როგორც მუნდიალს, იაპონიამ უმასპინძლა. ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქ ტოკიოში არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა მთავარი მოვლენა ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტის არჩევა იყო.



ბობი ელფსტონი

აქამდე ფიბას ჰონკონგელი კარლ მენ კი ჩინგი მართავდა, ახლა კი მსოფლიო კალათბურთის შეფი ავსტრალიელი ბობ ელფსტონი გახდა. ეს პიროვნება მსოფლიოს კალათბურთში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ელფსტონი ითვლება თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს საკალათბურთო მენეჯერად, ხოლო ავსტრალიელებისთვის ის საფიცარი ადამიანია.

ელფსტონმა დააარსა ავსტრალიის საკალათბურთო ლიგა და 2000 წელს სიდნეიში ოლიმპიადა რომ გაიმართა, ყველაზე მეტად მისი დამსახურებაა. ბოლო წლებში ის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჩინოვნიკი იყო და ამიერიდან, ვიდრე არ გადაირჩევენ, მსოფლიო კალათბურთს უხელმძღვანელებს.

კონგრესზე გადაწყდა ასევე ჩერნიგორიის ფიბაში დამოუკიდებლად გაწევრიანების საკითხი. ჯერ არა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე ჩერნოგორია ცალკე სუბიექტი იქნება მსოფლიოს კალათბურთის ამ თანამეგობრობაში. ჩერნიგორიას კოეფიციენტი არ ექნება და ის ევროტურნირებში თამაშს ქვედა ეშელონიდან დაიწყებს. სერბეთ-ჩერნოგორიის იმ ნაკრების სამართალმემკვიდრე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდიოდა, სერბეთი იქნება. ანუ ყველა ის მიღწევა, რომელიც სერბეთ-ჩერნიგორიამ ბოლო წლებში მოიპოვა, სერბეთს დაერიცხება. ჩერნიგორია კი ფიბას 213-ე წევრი გახდება.

დაბოლოს, კონგრესზე დადგინდა მომავალ, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის პრინციპი. ქალთა და კაცთა ტურნირში პეკინში 12-12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ჩვენ კი ჯერ კაცებზე ვთქვათ.

მაშ ასე, პეკინში ადგილი უკვე დაჯავშნული აქვთ ჩინელ კალათბურთელებს, რომლებიც ოლიმპიადის მასპინძლები არიან. საგზურებს ასევე მოიპოვებენ ამჟამად მიმდინარე მუნდიალის გამარჯვებული, 2007 წლის ევროპისა და პანამერიკის ჩემპიონატის ფინალში გასული გუნდები და აზიის, აფრიკისა და ოკეანიის ჩემპიონები.

სულ გამოვიდა 9 ნაკრები, დარჩენილ 3 საგზურს კი ცალკე ტურნირში ნაყოჩაღევი ქვეყნები გაინაწილებენ, რომელიც 2008 წლის 7-13 ივლისს გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ყველა კონტინენტის გუნდები: ევროპიდან 4, ამერიკიდან — 3, აზიიდან და აფრიკიდან — 2-2 და ოკეანეთიდან — ერთი.

რაც შეეხებათ ქალებს: 5 კონტინენტის ხუთი ჩემპიონი, პლუს საკვალიფიკაციო ტურნირის 5 საუკეთესო და, რა თქმა უნდა, მასპინძელი და მსოფლიოს ჩემპიონი.

**ირაკლი პერტაია**

კალათბურთი

# ნაცვლიშვილმა კაპიტნობა და იმედი დაიბრუნა

*საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა აღმოსავლეთევროპული შეკრებები მოილია და ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის ახლა თბილისში ემზადება სრული შემადგენლობით. უნგრეთსა და რუმინეთში გორდონ ჰერბერტის გუნდმა 7 შეხვედრა ჩაატარა, საიდანაც 4 მოიგო და მთლიანობაში ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ნაკრებს რუმინეთში არ გაჰყოლია გორდონ ჰერბერტი, ხოლო რამდენიმე კალათბურთელმა ტრავმების გამო ვერ ითამაშა. ერთ-ერთი მათგანი იყო ნაკრებში კაპიტანად დაბრუნებული ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელიც ფილტვის ტრავმის გამო ლამის ორი სეზონი ისვენებდა*

— რუმინეთში რამდენიმე შეხვედრა ვერა კი არა, არ ვითამაშე, რადგან მუხლი მაწუხებდა და ამხანაგურ მატჩში რომ გამერისკა მოედანზე გასვლა, რა ძალა იყო — გვითხრა ვატო ნაცვლიშვილმა — ვამჯობინე, დამესვენა და მწვრთნელს თავად ვთხოვე, არ მათამაშო-მეთქი.

— ნაკრებში ლამის 4 წელია, არ გითამაშია და მოედანზე ახლა როგორ იგრძენი თავი?

— საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ვარ, თუმც ისიც კარგად ვიცი, რა გადავიტანე და მეტი ამბიციის ქონაც გაუმართლებელი იქნებოდა. მე აღარ ვარ ძველებური ლიდერი, მაგრამ მოედნის გარეთ გუნდის წინამძღოლად ვითვლები და ვფიქრობ, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ორ მატჩში 10-ქულიან ზღვარს ასცდი და მაინც უკმაყოფილო ხარ?

— ეგ ჰო, მაგრამ რამდენიმეში ხომ ვერ ვითამაშე ჩვეულად. საერთოდ, 10-15 ქულა ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. იყო დრო, 20 ქულაზე ნაკლებით მოედანს არ ვტოვებდი, მაგრამ ახლა ბევრი რამ შეიცვალა, ასაკი მომემატა, ჩემი ტოლა ხალხი კი წელგამართულ ქვეყნებში ნაკრებში აღარ თამაშობს.

— ამას რატომ ამბობ, ნაკრებიდან წასვლას ხომ არ აპირებ?

— არა, ახლა უკვე აღარ, მაგრამ სანამ კაპიტნის სამკლავურს დავიბრუნებდი, განვაცხადე, თუ კაპიტანი არ ვიქნები, ნაკრებიდან წავალ-მეთქი.

— ამ განცხადებას რით ახსნი?

— ევროპის წამყვან ნაკრებებში ჩემი ასაკის ხალხი თითქმის აღარ არის. ნაკრები ყველგან ხალისდება, რადგან ახალგაზრდა თაობა მოდის და შებერებული მოთამაშეებიც ნელ-ნელა ტოვებენ ეროვნულ გუნდს. რადგან ნაკრებში ვარ და ჩემი დახმარება სჭირდებათ, ის მაინც უნდა მივიღო, რასაც ვიმსახურებ. დღეს ამ ნაკრებში თუ ვინმეა ჩემზე გამოცდილი, დიდი სიამოვნებით დავუთმობ კაპიტნის სამკლავურს.

— რას იტყვი ზოგადად გუნდზე, კმაყოფილი ხარ ნაჩვენები შედეგით?



ვუჟა [illegible]შვილის ფოტო

— კმაყოფილი ვარ, მაგრამ ერთ რამეზე მწყდება გული — სერბეთის მაჩანჩალა გუნდთან რომ წავაგეთ. ის იყო სიზმარივით მატჩი, რომელიც ისე წავაგეთ, აზრზე ვერ მოვედით. ასე ცუდად არასდროს გვითამაშია. სერბებს არ მოუგიათ ის შეხვედრა, ჩვენ წავაგეთ.

— მაინც რა იყო ამის მიზეზი. ის ხომ არა, გორდონ ჰერბერტი რომ გაკლდათ?

— ჰერბერტის არყოფნა არაფერ შუაშია. ის არც რუმინეთის ნაკრებთან მატჩებში იყო, მაგრამ საუკეთესოდ სწორედ იქ ვითამაშეთ. კენი ატკინსონი ძალიან კარგი მწვრთნელია და უჰერბერტობა გუნდს არ აგრძნობინა. წაგება ფსიქოლოგიური მომენტის ბრალია. წინა მატჩში რუმინეთს მოვუგეთ და ვიცოდით, რომ სერბული გუნდი მასზე გაცილებით სუსტი იყო. თან პირველ ტაიმში იოლად გავიმარჯვეთ და მეორეში თავდაჯერებულები დავუბრუნდით მოედანს, ამიტომაც დავისაჯეთ.

— საუკეთესო შეხვედრა ალბათ მაკედონიასთან ჩავატარეთ.

— მაკედონიაზე არანაკლებ კარგად ვითამაშეთ რუმინეთის ნაკრებთან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ვეთამაშებოდით და მსაჯები აშკარად რუმინელებს ემხრობოდნენ. ტურნირი რომ მოვიგეთ, რუმინეთის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები მოვიდნენ ჩვენს დელეგაციასთან და მოუბოდიშეს, არაკვალიფიცირებული მსაჯები გვყავდაო. არაკვალიფიცირებულები თურმე მხოლოდ მასპინძლების სასარგებლოდ ცდებოდნენ.

— ტაირონ ელისმა გაამართლა?

— ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს სწორედ ელისის ტიპის მოთამაშე გამოადგება, ვიდრე შემონდ უილიამსი. ჩვენს გუნდს არ აკლია ლიდერები, უილიამსი კი ასეთი იყო. ელისი კლასით ჩამოუვარდება შემონდს, მაგრამ, ვფიქრობ, ის უფრო გამოგვადგება, რადგან საკუთარ თავს ზედმეტის უფლებას არ მისცემს და ბურთის გათამაშებით დაკავდება. არადა, მიზანიც კარგი აქვს, ეგებ უილიამსზე ზუსტიც კი იყოს.

— ლუქსემბურგთან მატჩამდე ცოტა დრო დარჩა. როგორი განწყობით ხვდებით ევროსაკვალიფიკაციო ეტაპს?

— ლუქსემბურგს ასპროცენტიანი მოვუგებთ, სხვებზე კი გამიჭირდება ასეთი თამამი პროგნოზის გაკეთება. არადა, ვფიქრობ, რომ არც ერთი მატჩი არ უნდა წავაგოთ არა მხოლოდ სექტემბერში, არამედ მთლიანად ჯგუფში. ჩვენს ნაკრებს ამისი ძალა რეალურად შესწევს.

**ირაკლი პერტაია**

ჩოგბურთი

# ქართველები ბაქოში



ვუჟა [illegible]შვილის ფოტო

სოფო შაფათავა

**აზერბაიჯანის** დედაქალაქ ბაქოში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10 ათასიანი ტურნირი ტარდება და ბაქოს თიხაზე ბლომად ჩვენებურები თამაშობენ.

ტურნირის ძირითად ბადეში ერთბაშად ექვსი ქართველი ჩოგბურთელია — WTA-ს კლასიფიკაციის 1060-ე ნომერი, 17 წლის სოფო შაფათავა, რეიტინგში 1132-ე, პოზიციაზე მყოფი 16 წლის თეონა ცერცვაძე, 1378-ე ნომერი, 18 წლის სოფო ქვაცაბაია და აგრეთვე 18 წლის სალომე ალადაშვილი და 16 წლისანი მარიამ ქურდაძე და სოფიკო შარანგია, რომლებიც WTA-ს რეიტინგში ჯერჯერობით მოხსენიებულნი არ არიან.

ამათ გარდა ორმა ჩვენებურმა კვალიფიკაციიდან სცადა ძირითად ბადეში მოხვედრა. 15 წლის ანა ჯიქიას ამის შანსი ჯერ კიდევ ჰქონდა, ხოლო 18 წლის ნინა მაკაროვამ პირველივე წრეში მარცხი იწვნია. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, რუს ანჟელიკა ბალიუკთან შეხვედრისას, როდესაც 3:6 4:4 აგებდა, ნინამ ტრავმის გამო შეწყვიტა თამაში.

ბაქოს გარდა ერთი ჩვენებური სტამბოლის 10 ათასიან ტურნირზეც სცდიდა ბედს, მაგრამ 17 წლის ნათია გეგიამ საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში მოხვედრა ვერ მოახერხა.

ჭიდაობა

# გვატემალამ მედლები დაგვიმალა

**გვატემალაში** დაიწყო მოჭიდავეთა ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის პირველი დღე ჩვენი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 21-წლამდელებისთვის უიღბლო გამოდგა.

ტურნირის პირველ დღეს ოთხი ქართველი ფალავანი ჭიდაობდა, მაგრამ ამათგან მხოლოდ ორს შეეძლო მედლის მოპოვება და არც ეს მოხერხდა.

ქართულ ყულაბაში ბრინჯაოს ჩაჩხრიალება ლაშა გოგიტიძეს (50 კგ) და კახა მექვაბიშვილს (60 კგ) შეეძლოთ. გოგიტიძემ მიჯრით მოიგო საწყისი ორი ბრძოლა — ჯერ იაპონელ კაჯი მასაჰარუს გაუსწორდა, ჩაროზად კი სამხრეთკორეელი ნამ ლი მიაყოლა, მაგრამ მერე ყაზახ აშხატ კუდაიბერგენოვთან წააგო. გოგიტიძისთვის სახეიროდ, კუდაიბერგენოვი ფინალში გავიდა და ჩვენიანმა ბრინჯაოსთვის განაგრძო ბრძოლა, რომელიც პუერტორიკოელ ალექს კოლუნთან დათმო.

ასევე დაემართა კახა მექვაბიშვილს (60 კგ). ოღონდ მან პირველივე დაჭიდება წააგო თურქ სონერ სუთუსთან, თუმც თურქმაც ფინალში გააღწია და ქართველს მესამე სინჯის მედლის მოპოვების საშუალება დაუტოვა. სამწუხაროდ, მექვაბიშვილი ამის მერეც დამარცხდა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

ამათთან შედარებით, უფრო არ გაუმართლათ ზაზა შავაძეს (74 კგ) და მზეჭაბუკ ჯიქიას (96 კგ). შავაძემ საწყისი ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ მერე რუს ევგენი პოპოვთან წააგო და ტურნირსაც დაემშვიდობა, რაკი რუსმა ფინალს ვერ უწია. შავაძის ბედი ჯიქიამაც გაიზიარა. მანაც წააგო სადებიუტო ბრძოლა და არც მის მძლეველ უნგრელ ივან ნემეტს დაადგა კარგი დღე. უნგრელმა მომდევნო ბრძოლა ჩააგდო და მარცხიან ქართველებს შეუერთდა.

გუშინ უნდა ეჭიდავათ რევაზ ლაშხს (55 კგ), ილია გულიბათაშვილს (66 კგ), დავით ქარჩავასა (96 კგ) და მძიმეწონოსან დიმიტრი ჯავახიშვილს. მათი შედეგები ხვალისთვის თუ იქნება ცნობილი, რადგან ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი ზლაზვნით მუშაობს და თანაც გვატემალას დროსთან რვასაათიანი სხვაობაა.



ვიტალი კლიჩკომ, ჩემი ძმა ვლადიმირი ყველაზე მაგარიაო

# მოკრივეები მუშტის ნაცვლად ენას იქნევენ

**ძალიან** აირია სიტუაცია პროფესიულ კრივის უპრესტიჟულეს, ზემძიმე წონაში. ამაზე იტყვიან, ძალლი პატრონს ვერ სცნობსო — ვისაც არ ეზარება, ყველას ენა გადმოუგდია და ან ბაქიბუქობს, ან კიდევ სხვებს ემუქრება. მოკლედ, სრული ქაოსია.

ცხადზე უცხადესია, რომ ამიერიდან ქამრების გაერთიანებისთვის დიდი ომი დაიწყება, თუმც პირველი ნაბიჯის გადადგმას არავინ ჩქარობს. ერთი პირობა IBF-ის ვერსიით ჩემპიონმა, უკრაინელმა ვლადიმირ კლიჩკომ თითქოს გაბედა პირველი ნაბიჯის გადადგმა და 11 ნოემბრისთვის დანარჩენებზე ასაკოვანი და შესაბამისად, ოდნავ სუსტი ყაზახი ოლეგ მასკაევი გამოიწვია საბრძოლველად.

თუმც WBC ვერსიით ახლად გაჩემპიონებული მასკაევის შტაბმა უარი განაცხადა და ამის მიზეზად ტრავმა დაასახელა:

„11 ნოემბრისთვის ოლეგი მზად არ იქნება. რენტგენმა აჩვენა, რომ იდაყვი დაზიანებული აქვს და ამიტომ რინგზე მისი გასვლა არ შეიძლება. ვფიქრობ, ოლეგი წლის ბოლოსთვის, ან იანვრისთვის იქნება მზად“ — განაცხადა მასკაევის პრომოუტერმა დენის რაპოპორტმა.

კლიჩკოს კი მყარად გადაუწყვეტია, რომ 11 ნოემბერს აუცილებლად იჩხუბებს, მაგრამ უკრაინელი სხვა ჩემპიონების გამოწვევას მოერიდა და ბრძოლა ამერიკელ კელვინ ბროკს შესთავაზა.

დახეთ საოცრება? თითქოს სხვების ლაყბობა არ გვეყოფოდა, რომ ახლა ამ „პუსტა-პუსტა“ მოკრივემაც ამოიდგა ენა და კლიჩკოს მიტყეპითაც დაიმუქრა.

„ყველაფერი გადაწყდა. ყველა პირობა შეთანხმებულია და მხოლოდ კონტრაქტზე ხელმოწერაღა დაგვრჩა — მოკლედ, კლიჩკოს ვეჩხუბები. ასე რომ, მალე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები. ვიცი, რომ მოგება შემიძლია. ჩემს ბიოგრაფიას გადახედეთ, ახლა 29 მოგება მაქვს და 30-მდე უკრაინელთან დავამრგვალებ. ბევრთან მიჩხუბია და ახლაც მოვიგებ. თან ამას ლამაზად გავაკეთებ“.

ეგ რა არის — ბროკს თურმე თავისზე ბაქიბუქა მწვრთნელი ჰყოლია:

„ზემძიმე წონაში ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა კრივში არ არსებობს. ყოველთვის ვიცოდი, რომ შემეძლო მოკრივის ამ დონემდე მომზადება. კალვინის მომავალი გამარჯვება კი ჩემი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის, რეპუტაციასაც გაამყარებს“.

ვლადიმერ კლიჩკო ამასობაში თავისმა ძმა ვიტალიმ დაიცვა და პირდაპირ თქვა, დღეს აბსოლუტური ჩემპიონობა მხოლოდ ვლადიმირს თუ შეუძლიაო.

„მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ საუკეთესო გახდეს — სისწრაფე, ძლიერი დარტყმა, სისხარტე და საბრძოლო სული. ამიტომაც მიიჩნევენ სპეციალისტები მას ყველაზე ძლიერად“ — ძმის პრესტიჟი აამაღლა ვლადიმირმა.

თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო და სიტუაცია კიდევ დიდმა ოსკარ დე ლა ჰოიამ არია. ლეგენდარულმა „ოქროს ბიჭმა“ ამ ბოლო დროს პრომოუტერობას მიჰყო ხელი და პროტეჟედ სულთან იბრაგიმოვი გაიხადა. დე ლა ჰოიამ, რა კლიჩკო, რის მასკაევი, ნახეთ, ამ ბიჭმა ყველა როგორ მიყარ-მოყაროსო. დაწყებით კი მოქმედი ჩემპიონებიდან ყველაზე ძლიერით, სარგეი ლიახოვიჩით დაიწყებს და მერე სხვების ჯერიც დადგებაო.

აი, ასე, ჯერჯერობით ყველა ენას იფხანს და როდემდე გაგრძელდება ეს „ორატორული“ შეჯიბრი, ვერავინ იტყვის. ამასობაში მოსულელო ნიკოლაი ვალუევი მის ახალ პრომოუტერ, გაიძვერა დონ კინგს ნიუ იორკში ჩაუყვანია და იქაურ ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებინებს. რუსსაც მეტი რა უნდა — პირდაღებული დადის „დიდ ვაშლში“ და „ემპაირ სთეით ბილდინგისა“ და ამნაირი საოცრებების ცქერით ტკბება.

**კახა ლომჯყვილი**



# ესეც რეკორდია

## წლეულს პაუელი 10 წამს უკვე ათჯერ გაუსწრო

**გასულ** შაბათს ბრიუსელში გამართულ „ოქროს ლიგის“ მორიგ ეტაპზე 100 მეტრზე სირბილში იამაიკელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა ასაფა პაუელმა მოლოდინისამებრ იმარჯვა — დისტანცია 9,99 წამში დაფარა და, როგორც გაირკვა, ეს იყო მიმდინარე სეზონში მეათე შემთხვევა, როდესაც პაუელმა 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში გაირბინა და ამით იამაიკელმა ერთგვარი რეკორდი დაამყარა და სპრინტის ძველი მეფის, ამერიკელი მორის გრინის 1999 წლის შედეგი ერთით გააუმჯობესა.

1999 წელს გრინმა დასაშვები ზურგქარის პირობებში ცხრაჯერ გაირბინა 100 მეტრი 10 წამზე სწრაფად და იმ სეზონში მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 9,79 წმ. წლეულს პაუელმა, როგორც ვთქვით, უკვე ათჯერ შესძლო 10 წამიდან გამოსვლა და თანაც, ორჯერ გაიმეორა შარშან მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 9,77 წმ.



პაუელი ამ შედეგს, ალბათ კიდევ გააუმჯობესებს და სეზონის ბოლომდე კიდევ გამოვა 10 წამიდან, მაგრამ გრინის კარიერულ რეკორდამდე იამაიკელს ჯერ ბევრი უკლია — მორისმა კარიერის განმავლობაში ზღვრულზე მეტი ზურგქარის დაუხმარებლად 52-ჯერ შეძლო 100 მეტრის 10 წამზე სწრაფად გარბენა, ხოლო ასაფას ანგარიშზე, ჯერჯერობით, 23 ასეთი შედეგია. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ გრინი თავის სარეკორდო ნუსხას მთელი 10 წელი (1995-2004) ავსებდა, პაუელმა კი 10 წამიდან გამოსვლა პირველად 2004 წელს მოახერხა და მას შემდეგ, ანუ სამ სეზონში, ორ ათეულზე მეტჯერ შეძლო ამის გაკეთება.

## რეკორდები. ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| **100 მ.** | | | |
| ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი (აშშ) | 10,49 | 16.07.1988 | ინდიანაპოლისი |
| კრისტიან არონი (საფრანგეთი) | 10,73 | 19.08.1998 | ბუდაპეშტი |
| მაია აზარაშვილი | 11,08 | 1988 | კიევი |
| **200 მ.** | | | |
| ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი (აშშ) | 21,34 | 29.09.1988 | სეული |
| მარიტა კოხი (გერმანია) | 21,71 | 10.06.1979 | კარლ-მარქს-შტადი |
| მაია აზარაშვილი | 22,24 | 1988 | კიევი |
| **200 მ.** | | | |
| მარიტა კოხი (გერმანია) | 47,60 | 06.10.1985 | კანბერა |
| მაია აზარაშვილი | 52,13 | 1988 | ლენინგრადი |
| **800 მ.** | | | |
| იარმილა კრატოხვილოვა (ჩეხოსლოვაკია) | 1,53,28 | 26.07.1983 | მიუნხენი |
| ელენე შაპოვალოვა | 2.05,08 | 1983 | თბილისი |
| **1 500 მ.** | | | |
| ქუ იუნხია (ჩინეთი) | 3.50,46 | 11.09.1993 | პეკინი |
| ტატიანა კაზანკინა (სსრკ-რუსეთი) | 3.52,47 | 13.08.1980 | ციურიხი |
| ელენე შაპოვალოვა | 4.12,60 | 1983 | მოსკოვი |
| **5 000 მ.** | | | |
| მესერეტ დეფარი (ეთიოპია) | 14.24,53 | 03.06?2006 | ნიუ იორკი |
| ელვან აბეილაგესე (თურქეთი) | 14.24,68 | 11.06.2004 | ბერგენი |
| ნინო თათრულაიძე | 17.43,15 | 2002 | ტალინი |
| **10 000 მ.** | | | |
| ვანგ იუნხია (ჩინეთი) | 29.31,78 | 08.09.1993 | პეკინი |
| პოლა რადკლიფი (ბრიტანეთი) | 30.01.09 | 06.08.2002 | მიუნხენი |
| **მარათონი** | | | |
| პოლა რადკლიფი (ბრიტანეთი) | 2:15.25 | 13.04.2003 | ლონდონი |
| **100 მ. თარჯრბენი** | | | |
| იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი) | 12,21 | 20.08.1988 | სტარა ზაგორა |
| ლუდმილა იევლევა | 13,60 | 1970 | თბილისი |
| **400 მ. თარჯრბენი** | | | |
| იულია პეჩონკინა (რუსეთი) | 52,34 | 08.08.2002 | ტულა |
| **3 000 მ. წინაღობებით** | | | |
| გულნარა სამიტოვა (რუსეთი) | 9.01,59 | 04.07.2004 | იმაკლიო |
| ნათია გელაშვილი | 11.10,00 | 2005 | სტამბოლი |
| **სიგრძეზე ხტომა** | | | |
| გალინა ჩისტიაკოვა (რუსეთი) | 7,52 | 11.06.1988 | ლენინგრადი |
| ნადეჟდა დვალიშვილი | 6,25 | 1954 | თბილისი |
| **სიმაღლეზე ხტომა** | | | |
| სტეფკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) | 2,09 | 30.08.1987 | რომი |
| მარინა ალეკრინსკაია | 1,88 | 1980 | ზაპოროჟიე |
| **სამხტომი** | | | |
| ინესაკრავეცი (უკრაინა) | 15,50 | 10.08.1995 | გიოტებორგი |
| იულია დუბინა | 14,02 | 2004 | ბაქო |
| **ჭოკით ხტომა** | | | |
| ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 5,01 | 12.08.2005 | ჰელსინკი |
| ირინა ნარჟნიაკი | 2,70 | 1991 | თბილისი |
| **ბირთვის კვრა** | | | |
| ნატალია ლისოვსკაია (სსრკ-რუსეთი) | 22,63 | 07.06.1987 | მოსკოვი |
| ალექსანდრა აბაშიძე | 19,50 | 1984 | ლესელიძე |
| **ბადროს ტყორცნა** | | | |
| გაბრიელა რეინში (გერმანია) | 76,80 | 09.07.1988 | ნოიბრანდენბურგი |
| ნათელა ლაბაძე | 64,20 | 1980 | დნეპროპეტროვსკი |
| **შუბის ტყორცნა** | | | |
| ოსლეიდის მენენდესი (კუბა) | 71,70 | 14.08.2005 | ჰელსინკი |
| კრისტინა ობერგფიოლი (გერმანია) | 70,03 | 14.08.2005 | ჰელსინკი |
| მაკა ობოლაშვილი | 51,86 | 1999 | თელავივი |
| **უროს ტყორცნა** | | | |
| ტატიანა ლისენკო | 77,80 | 15.08.2006 | ტალინი |
| გურანდა თედორაძე | 48,12 | 1990 | ხარკოვი |
| **20 კმ. სპორტული სიარული** | | | |
| ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) | 1:25,41 | 07.08.2005 | ჰელსინკი |
| **4 X 100 მ.** | | | |
| გერმანია (გდრ) | 41,37 | 06.10.1985 | კანბერა |
| საქართველო | 44,90 | 1986 | ტაშკენტი |
| **4 X 400 მ.** | | | |
| სსრკ | 3,15,17 | 01.10.1988 | სეული |
| საქართველო | 3.47,73 | 1982 | ლენინგრადი |
| **შვიდჭიდი** | | | |
| ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) | 7291 | 04.09.1988 | სეული |
| ლარისა ტურჩინსკაია (სსრკ-რუსეთი) | 7007 | 11.06.1989 | ბრიანსკი |
| ოლგა ვერშინინა | 5450 | 1983 | თბილისი |

*პირველ გრაფაში მსოფლიოს რეკორდებია ნაჩვენები, მეორეში — ევროპისა, ხოლო მესამეში — საქართველოსი. იმ სახეობებში, რომლებშიც მსოფლიოს რეკორდს ევროპელები ფლობენ, ევროპის რეკორდი აღარ არის აღნიშნული*

ავტორბოლა

# კაცი, რომელმაც ბევრი რამ იცის

Formula 1

**აგვისტოს** ბოლო დღეები საკმაოდ მდიდარია საპირველფორმულო ამბებით.

25 წლის ბრაზილიელმა ფელიპე მასამ თურქეთში დუბლით(!) გაიმარჯვა — ოთხსეზონიან კარიერაში პირველად მოიგო კვალიფიკაციაც და რბოლაც.

„ისტანბულ პარკში“ პრიზიორთა დაჯილდოებისას პოლიტიკური სკანდალი აგორდა — ფელიპე მასას ჯილდო გადასცა მეჰმეთ ალი თალათმა, რომელსაც თურქეთის ხელისუფლები „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკის“ პრეზიდენტს უწოდებენ. ამ რესპუბლიკას თურქეთის გარდა არავინ ცნობს, ამიტომაც კვიპროსის ავტოფედერაციამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციაში (FIA) სათანადო პროტესტი გაგზავნა. კვიპროსის მთავრობამ დაგმო „თურქეთის გრან პრის“ ორგანიზატორთა ამგვარი პოლიტიკური რეკლამა, რასაც უადგილო პროვოკაციული სპექტაკლი უწოდა.

FIA ინციდენტის გამოძიებას შეუდგა. ამ უმაღლეს ავტოორგანოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „FIA ირკვევს ვითარებას, თუ რატომ მოხდა ბატონ მეჰმეთ ალი თალათის მიწვევა თურქეთში დაჯილდოების ცერემონიალზე. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი — ფედერაციის ხელმძღვანელი როლის საფუძველია და არავითარი კომპრომისი, ან ამ ნეიტრალიტეტის დარღვევა მიულებელია.“

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სანქციები შეიძლება მიიღონ თურქული ეტაპის ორგანიზატორთა მიმართ. მათ თავის მხრივ უკვე აღიარეს „წესების დარღვევა“, თუმც ოფიციალურ მობოდიშებას უარობენ, აქაოდა, ეს უპრესტიჟულესი სპორტული ღონისძიება პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოგვიყენებიაო.

ამასობაში FIA-მ უკვე გამოაქვეყნა „სამეფო რბოლების“ სავაისო, რიგით 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი. 2007 წელს ერთით ნაკლები, 17 რბოლა გაიმართება. გერმანიას და იტალიას თითო ეტაპი ჩამოერთვათ, შესაბამისად — ევროპისა და სან მარინოს დიდი პრიზები, სამაგიეროდ, ფორმულა 1-ს კვლავ დაუბრუნდება „ბელგიის გრან პრი“. თუმც იტალიელებს საგაისო შანსი მაინც ჰრჩათ, თუ იმოლას ავტოდრომის მოდერნიზებას მოასწრებენ.

მონცას ლეგენდარულ „აუტოდრომო ნაციონალეზე“ გუნდები ტესტ-ვარჯიშს შეუდგნენ. 14 პილოტს შორის საუკეთესო შედეგი ფერარელებმა — მასამ და ლუკა ბადოერმა აჩვენეს. სწორედ მონცაში გათამაშდება 10 სექტემბერს იტალიის დიდი პრიზი და „სკუდერია-ფერარის“ ხელმძღვანელობაც მაშინ დაასახელებს გუნდის საგაისო შემადგენლობას.

ნაწილობრივ ამ საკითხსაც ეხება „წითლების“ გენერალურ დირექტორ *ჟან ტოდტის* ინტერვიუ



ჟან ტოდტი „ფერარის“ საკაპიტნო პულტთან

— იმათ სიაში, ვისაც „ფერარისთვის“ გაუმარჯვია, მატებაა.

— ძალიან გაგვახარა ფელიპეს პირველმა პოულმა და პირველმა მოგებამ, მან მართლაც ჩინებულად ჩაატარა რბოლა. ოღონდ ცოტა გულნაკლულებიც ვართ, რადგან გუნდის ამჟამინდელი პოტენციალით თურქეთში დუბლის იმედი გვქონდა, მაგრამ უსაფრთხოების მანქანის გამოსვლამ რბოლის მიმდინარეობა შეცვალა და პირველ-მეორეს ნაცვლად პირველ-მესამე ადგილები დავიკავეთ. ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირეთ კონსტრუქტორთა თასზე ჩამორჩენა — იყო შვიდი ქულა, ახლა კი ორია, მაგრამ ორი ქულა პილოტთა ჩემპიონატში წავაგეთ, თუმც მაინც ვთვლი, რომ პირველობის ჩინებული შანსი გვაქვს.

— პირველი პიტსტოპისას გუნდი ჯერ ფელიპეს რომ არ მომსახურებოდა, მიხაელ შუმახერი მეორე პოზიციას შეინარჩუნებდა.

— ფელიპესთვის მიხაელის წინ გატარება რომ გვეთხოვა, პრესკონფერენციაზე ხუთჯერ მეტი ჟურნალისტი მოვიდოდა და ეს უიქენდის მთავარი მოვლენა გახდებოდა. ვნანობ, მაგრამ პიტსტოპის მიმდევრობა არ შეგვიცვლია.

— მიხაელმა იმ პიტსტოპზე 11 წამი დაკარგა. რამე მოხდა, თუ იგი უბრალოდ ელოდა, ვიდრე ფელიპეს მოემსახურებოდნენ?

— უბრალოდ ელოდა. უსაფრთხოების მანქანის გამო არჩევანი არ გვქონდა.

— აპირებდით თქვენი მრბოლების ადგილების გაცვლას, თუკი მიხაელი ალონსოს გაასწრებდა?

— ამას უკვე ველარ გაიგებთ.

— რას ფიქრობთ სეზონის მსვლელობისას მასას პროგრესზე?

— 14 ეტაპის შემდეგ იგი 62 ქულით მესამე ადგილზეა, რაც მეტყველებს, რომ მართლაც მაღალი კლასის მრბოლია. ვფიქრობ, პირველი გამარჯვების შემდეგ შეეცდება, უფრო მეტი გააკეთოს, რათა გუნდს ტიტულისა და კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლაში დაეხმაროს. ვგრძნობ, მასა ერთხელაც შეძლებს ჩემპიონატის მოგებას, იგი გამორჩეულად ნიჭიერია და ამიტომაც გავუფორმეთ კონტრაქტი.

— ბერნი ეკლსტოუნმა თურქეთში განაცხადა, რომ მიხაელ შუმახერმა წასვლა გადაწყვიტა.

— ნურავის უსმენთ. ბერნის ამ საკითხზე ინფორმაცია არ აქვს. მას არასდროს არაფერი გაუკეთებია მიხაელის „ფერარიში“ გადასასვლელად, თუმც ამას წინათ წავიკითხე, თითქოს ეს ყველაფერი ეკლსტოუნის ორგანიზებული იყო. სრული აბდაუბდაა! მიხაელთან 1995 წლის აგვისტოში მოვილაპარაკეთ და მე პირადად დავურეკე ბერნის ამის შესატყობინებლად. მან მართლაც არ იცის, გააგრძელებს მიხაელი კარიერას თუ არა.

— თქვენ კი იცით?

— ბევრი რამ ვიცი, რაც გუნდს ეხება.

— გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული?

— ვთქვი, რომ ბევრი ვიცი, მაგრამ ეს ყველაფრის ცოდნას არ ნიშნავს.

— უკვე იცით, მომავალ სეზონში „ფერარით“ ვინ გამოვა?

— ახლა არ ვაპირებ ამაზე ლაპარაკს. განცხადებას ჩვენ მონცაში გავაკეთებთ.

— თურქეთის რბოლამ საკუთარ ძალებში რწმენა ხომ არ შეგიმცირათ? მიხაელს რომ მოეგო, ფერნანდო კი ფინიშზე მესამე მისულიყო, მათ შორის სხვაობა მხოლოდ ექვსი ქულა იქნებოდა.

— შეიძლება, ექვსი ყოფილიყო, შეიძლება — ოციც. რბოლა დამთავრდა და ხელმეორედ მას ველარ გაივლი.

ველორბოლა

61-ე ვუელტა. 26 აგვისტო-17 სექტემბერი

# პირველი მთები დი ლუკამ დალაშქრა

**გუშინ** „ვუელტაზე“ პირველი მთები [illegible] სურათიც ერთბაშად შეიცვალა. პლასენციადან ბეხარამდე გასავლელ 178 კილომეტრზე პელეტონს ორი პირველი, ერთი მეორე და ბოლოს უმაღლესი კატეგორიის სირთულის მთა ჰქონდა დასაძლევი და ამ ამოცანას ყველაზე უკეთ იტალიელმა დანილო დი ლუკამ გაართვა თავი — ლიქუაგასის“ მრბოლმა ეტაპიც მოიგო და ლიდერის ოქროსფერი მაისურაც ჩამოართვა ულელტეხილებზე უიმედოდ ჩამორჩენილ ნორვეგიელ ტორ ჰუსჰოვდს.

**მეხუთე ეტაპი. 30 აგვისტო, პლასენცია-ბეხარი. 178 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიქუიგასი) | 5 სთ.02წთ.25წმ |
| 2. ჯანეზ ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქოვერი) | იგივე დრო |
| 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | -7წმ. |
| 4. ხოსე ანხელ გომესი (ესპანეთი, სონი დიუვალი) | +15წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | -22წმ. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიქუიგასი) | 18სთ.37წთ.56წმ |
| 2. ჯანეზ ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქოვერი) | +4წმ |
| 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) | +18წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +29წმ |
| 5. ხოსენ ანხელ გომესი (ესპანეთი, სონი დიუვალი) | +35წმ |

ოლიმპიზმი

# იაპონელთა არჩევანი: ტოკიო

**უკვე** მრავალი წელია, რაც იაპონიის ქალაქები ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იბრძვიან და ამ საქმეში თავდაპირველად ერთმანეთს უწევენ კონკურენციას. აი, ახლაც, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილს ამომავალი მზის ქვეყნიდან ორი ქალაქი, ტოკიო და ფუკუოკა გამოთქვამდა. იაპონიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 33 ხმით 22-ის წინააღმდეგ არჩევანი დედაქალაქზე შეაჩერა.

შეგახსენებთ, რომ ტოკიომ ორჯერ უკვე მოიპოვა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი, რაც 1964 წელს გამოიყენა კიდეც და ამგვარად გახდა აზიის პირველი ქალაქი, რომელმაც მსოფლიოს სპორტსმენთა ეს უდიდესი ფორუმი მიიღო. ტოკიომ ასეთივე უფლება გასული საუკუნის ოცდაათიან წლებშიც მოიპოვა და 1940 წლის თამაშების მისაღებად ემზადებოდა, მაგრამ იმ დროს ჰაერში მეორე მსოფლიო ომის სუნი დატრიალდა და ამ ქალაქმა გადაწყვიტა, ყურადღება საოლიმპიადოდ აღარ გაეფანტა და მის მიღებაზე უარი განაცხადა. ის თამაშები და მომდევნოც ომის გამო საერთოდ აღარსად ჩატარდა. 20 წლის მერე ტოკიომ ისევ სცადა ოლიმპიადის მიღება, მაგრამ მას რომმა აჯობა.

ტოკიოს ახლანდელი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მეტად ძლიერი კონკურენტები ჰყავს. ეს ქალაქებია: ბერლინი, მადრიდი, მილანი, ბანგკოკი და დელი, აგრეთვე აშშ-ის ერთ-ერთი ქალაქი, რომელსაც შინაურ შეჯიბრებაში ჯერ არ გაუმარჯვია.

ასე რომ, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მიღების მოსურნე ქალაქებიდან მსგავს შეჯიბრებას, ტოკიოსთან ერთად ბერლინმა უკვე უმასპინძლა (1036 წელს) ახლანდელ დავაში გამარჯვებულის ვინაობა კი 2009 წლამდე არ გაირკვევა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ცურვა

# ნეაპოლის ღია წყალში

**რუსეთის** მოცურავეები მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამარჯვებებით იშვიათად ხარობენ. სწორედ ასეთი გამონაკლისი მოხდა ნეაპოლში, სადაც ღია წყალში მეორე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. აქ 5 კილომეტრზე ცურვაში 18 წლის ლარისა ილჩენკომ ყველას აჯობა 1:08.19,7; მეორე იყო პოლიანა ოკიმოტო (ბრაზილია) — 1:08.27,6, ხოლო მესამე — ბრიტა კამრაუ-კორნშტეინი (გერმანია) — 1:08.46,3.

ვაჟებში იმავე დისტანციაზე საპრიზო სამეული ასე განაწილდა: ლურცი (გერმანია) — 1:04.32,3; პიტერსონი (აშშ)— 1:04.32,7; ერკოლი (იტალია) — 1:04.35,9.

ფეხბურთი

**დანია**

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ფრემადი 2:1 ჰერფიოლგე

თასი. I ეტაპი

ფიორდაგერი 1:10 რადნერსი

რინგსტადი 0:3 აკადემისკი

**სლოვენია**

I ლიგა. VI ტური

ბელაკრაინა 0:1 ფაქტორი

დომჟალე 3:1 პრიმორიე

მარიბორი 1:1 კოპერი

ნოვა გორიცა 3:2 დრავა

პუბლიკუმი 1:2 ნაფტა

**შოტლანდია**

თასი. II ეტაპი

გრეტნა 3:1 ჰამილტონი

მონტროუზი 0:3 *კლაიდი*

ქუინი 2:2დ.დ. (4:5პენ, 2:2) *ეირი*

**შვედეთი**

სუპერეტა. XXII ტური

ატვიდაბერგი 0:1 ლიუნსკილე

**სლოვაკეთი**

I ლიგა. VIII ტური

პეტრჟალკა 1:1 ინტერი

რუჟომბეროკი 5:0 დუბნიცა

სენეცი 2:0 ტრნავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა














ბადრი
კათილაძის
ფოტორეპორტაჟი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge